საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 ოქტომბერი, 2015 წელი.

№201 (7846)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

SIC!

„საკაშვილი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს“

3

თამარ ჩერგოლეიშვილის გეგმა ბ...

ანი მიროტაძე:

საკაშვილი კოჭლი და მახინჯი ხელისუფლების ბელადი იყო...

7

პაატა სალია:

როცა შუბის ხალთაში დამალვას ცდილობენ

4

ქოცების რეიტინგის კლება ნაცების რეიტინგის მატებას არ ნიშნავს

9



ნიკო მარი - 150

6

საქართველოში ედგა ფესვები

სიმონიკა სხირტლაძე

11

„ისეთ საღღეგრძელოს ვიტყვი, ბულბულს დავსვამ ჭიქაზე“...

⊙ დღის ამოჭრაზურიდან

ვეტო-პლასტელინის პრეზიდენტის ანტისახელისუფლო ლაშქარი

— როგორც ჩანს, ეს ჩვენი ვეტო პრეზიდენტი მაინცდამაინც იმ სავარძელში ჩაესვენა, რომელშიც სააკანთ ბიჭი ესვენა თავისთვის აშენებულ სასახლეში და, ალბათ, ამიტომაც გასააკაშვილდა ასე სულმოუთქმელად. აბა, სხვანაირად რით უნდა აიხსნას ის ანტისახელისუფლებო რიტორიკა, რასაც მეორე წელიწადია ვისმენთ. და არა მარტო თვითონ „პლასტელინის“ პრეზიდენტისგან. ამავე ხმაში ჭიკჭიკებენ მარგველაშვილის ანტისახელისუფლო ლაშქრის „მსაგრობელნიც“. აბაშიშვილი იქნება ეს, ფხალაძე თუ კოჟორიძე. ცალკე უნდა გამოვყოთ ამორძალი ჩიხრაძის ქალი. ახალმემარჯვენე ფიქრიაზე მოგახსენებთ, რომელიც ერთი კაცის ძალისხმევით არჩეული პრეზიდენტის მრჩევლად ვერ ჩამოყალიბდა და ისევ ძველ „ახალ მემარჯვენედ“ დარჩა.

ეტყობა, ამ ვაიმრჩეველ ფიქრიას დაუფიქრებელი რჩევით მიმართა ამ ერთი კაცის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა მოსამართლე ურთმელიძეს, ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება არ მიიღოო. ამას ის ლექცია გვაფიქრებინებს, რომელიც სწორედ ფიქრია ვაიმრჩეველმა წაიკითხა სიტყვა ხისტის მნიშვნელობაზე თვითონ „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან, რათა როგორმე გაემართლებინა სასამართლოზე თავისი პატრონის ზეწოლა. არა ეს ზეწოლა არ ყოფილა, ხისტი ფიცხსა ნიშნავსო, რაც იგივე ნაჩქარეობაზე მიუთითებსო.

ხისტის მნიშვნელობა რომ არ ესმის, გასაგებია, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს, სიტყვა ზეწოლას რაღაც განსაკუთრებული დაგემოვნებით რატომ წარმოთქვამდა ეს ვითომც კარგუნახავი (თეორიულად!) ჩიხრაძის ქალი! თუმცა, არც ეს უნდა იყოს მაინცდამაინც გაუგებარი.

ან იქნებ სიტყვა ხისტიც სულაც როგორც ხიშტი, შესარჭობი რამ იარაღი, ისე ესმის.

რას გაუგებ ამ ვაიგამრჩევლებულ ძველ „ახალ მემარჯვენეთა“ ვითომ ყოფილ თავმჯდომარეს. განა ასევე არ მეტყველებენ დანარჩენი ახალი მემარჯვენენიც! თუნდაც ნაჭყეტიას ქალი და ვაჟბატონი კაციტაძე, რომელთაც ძალიან, ძალიან შეჰყვარებიათ ამ ბოლო დროს ნაციონალებიც და „ცრუსთავი-2“-იც, ვინმე ყარამანიშვილებს ამოფარებულ თვითონ სააკანთ ბიჭისგან დანიშნულ დირექტორზე, მომღერალ-მოცეკვავე გვარამიაზე რომ ენა არ დავასველოთ (ისე, კაცმა რომ თქვას, ნეტავი რა ემღერება ან რა ეცეკვება ამ ასეთ-ისეთ ბულანჟე გენდირექტორს?!).

ყარამან ქალამანაშვილი,

ექსპერტი

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრემიერ-მინისტრი

ჩვენი მზარდი ეკონომიკა ყველა მოქალაქის სასარგებლოდ მუშაობს

თავს ვერ მოვიტყუებთ, თითქოს კონფლიქტებს მსოფლიოს სხვა კუთხეებში ჩვენთან არაფერი აქვთ საერთო. პირიქით, მათ აქვთ გავლენა ჩვენზე, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“, სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მესამე ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

— ალბათ, თავისთავად ცხადია, რომ საფრთხეები, რომელთა წინაშეც ჩვენ ვდგავართ, თავიანთი არსით ცვალებადია. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ძალადობა ეთნიკური ნიშნით, ტერორიზმი და მიწებსა და რესურსებზე კონტროლისთვის ბრძოლა საფუძვლად დაედო კონფლიქტების უმრავლესობას. ჩვენ ასევე გვიწევს პროპაგანდისა და საინფორმაციო ომის ახალ ტიპებთან ბრძოლა. ჰიბრიდული საფრთხეები და ომი დღევანდელობის ნორმად იქცა. ამ საფრთხეებთან საბრძოლველად ჩვენ გვჭირდება ყოვლისმომცველი მიდგომა არსებული პირობების შესაბამისი სხვადასხვა ინსტრუმენტით. სტაბილიზაცია ისეთ ადგილებში, როგორიცაა ავღანეთი და ერაყი, მოითხოვს სამხედრო და სამოქალაქო მონაწილეობის კომბინაციას. ჩვენ ხელი უნდა შეეუწყოთ სახელმწიფო ინსტიტუტების აღდგენასა და გაძლიერებას, რათა სახელმწიფოებმა იარსებონ და განვითარდნენ. სირია და შუა აღმოსავლეთი მზარდი შეშფოთების საგანია. რა პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ ახალ საფრთხეებთან ბრძოლაში? პირველია ჩართულობა. მსოფლიოში, რომელიც სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება, ჩვენ გვჭირდება ჩართულობა. ჩვენ ვერ ჩავიკეტებით და თავს ვერ მოვიტყუებთ, თითქოს კონფლიქტებს მსოფლიოს სხვა კუთხეებში ჩვენთან არაფერი აქვთ საერთო. პირიქით, მათ აქვთ გავლენა ჩვენზე. მეორე პრინციპია პარტნიორობა. დღევანდელ მსოფლიოში, როცა ძალაუფლება სულ უფრო ფრაგმენტირებულია, გლობალური უსაფრთხოება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევის შედეგი თუ იქნება, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, პარტნიორობა ქართულ გენშია ჩადებული და სწორედ ამიტომაც ვისწრაფვით ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ.

— სულ რაღაც 20 წლის წინათ საქართველო იყო სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული იზოლირებული ქვეყანა, სადაც თანამედროვე სახელმწიფოს სულ რამდენიმე ინსტიტუტი ფუნქციონირებდა. 2012 წელს მთავრობამ მიიღო ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და პრაგმატული საგარეო პოლიტიკის, როგორც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტის, გატარების მკაფიო მანდატი. დღეს ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს წინსვლას, რასაც ხაზს უსვამს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა. წინ კიდევ დიდი სამუშაო გველის, მაგრამ დღეს უკვე ჩავუყარეთ საფუძველი მტკიცე პარტნიორობას, რომელიც ხელს უწყობს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას. ჩვენი ევროინტეგრაციის გზა შეუქცევადია.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს. ჩვენი მზარდი ეკონომიკა მუშაობს საქართველოს ყველა მოქალაქის სასარგებლოდ, ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტები გაძლიერებულია, ხოლო ჩვენი საგარეო პოლიტიკის წყალობით ცხოვრება უფრო უსაფრთხოა. მართალია, ჩვენი ყოფის წინაშე იდგა მნიშვნელოვანი საფრთხეები, მაგრამ ჩვენ წინ მიგვყავს ქვეყანა იმავე სულისკვეთებით, როგორც ჩვენს წინაპრებს ათასობით წლის წინათ.

როგორც ევროპის ნაწილი, საქართველო გახდება მშვიდობისა და სტაბილურობის კონსტრუქციის ნაწილი, რომელსაც მხოლოდ სარგებლის მოტანა შეუძლია ჩვენი მეზობლებისათვის და რომელიც მხოლოდ გაზრდის ჩვენს უსაფრთხოებას“.

პრემიერის თქმით, ის ამაყობს, რომ შარშან საქართველომ მიიღო პირველი ამომწურავი გრძელვადიანი ადამიანის უფლებათა სტრატეგია და დაამტკიცა ანტიდისკრიმინაციული კანონი. ღარიბაშვილი ხაზს უსვამს, რომ მტკიცე უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, ასევე მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა და მედიის თავისუფლება. ირაკლი ღარიბაშვილი აღნიშნავს, რომ ამ უფლებების დაცვა საქართველოს მთავრობის ურყევი გადაწყვეტილებაა.

* * *

რუსეთთან ურთიერთობები ვერ დალაგდება ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე

ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ ურთიერთობები რუსეთთან ვერ დალაგდება ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე, — რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ მის მიერ ბოლო დროს უკრაინასა და არა მხოლოდ უკრაინაში გადადგმული ნაბიჯები ამ კონფერენციაზე მსჯელობის უმნიშვნელოვანესი საკითხი გახდება. რაც შეეხება საქართველოს, რუსეთს ჯერ კიდევ შესასრულებელი აქვს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებები. სამწუხაროა, რომ რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერა ე.წ. ინტეგრაციის შეთანხმებებს სოხუმსა და ცხინვალთან, რაც ცხადყოფს, რომ რუსეთი განაგრძობს საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე თავისი უკანონო კონტროლის განვრცობას. მე ვგმობ ამ მცოცავ ანექსიას და რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფას. ასევე შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ არასდროს შევწყვეტთ ბრძოლას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის“.

როგორც პრემიერმა დასძინა, ამ კონფლიქტით მიყენებული ტკივილი რეალურია და ჭრილობები ღრმაა. მისივე თქმით, მხოლოდ 2012 წლის შემდეგ მთავრობამ საცხოვრებლით უზრუნველყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დაახლოებით, 10 000 იძულებით გადაადგილებული ოჯახი. **„მიმდინარე ოკუპაციის ფონზე ჩემი მთავრობა მაინც არაორაზროვნად აცხადებს, რომ აუცილებელია პასუხისმგებელი და პრაგმატული ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან. ამ მიზნით ჩვენ გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები რუსეთთან ვაჭრობის, სატრანსპორტო კომუნიკაციების, ადამიანებს შორის კონტაქტებისა და ტურიზმის ხელშესაწყობად. ამ დიალოგს არ აქვს ალტერნატივა და ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ამ კეთილგონივრულ მიდგომას. მიუხედავად ამისა, ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ ურთიერთობები რუსეთთან ვერ დალაგდება ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

* * *

ვამაყობ, რომ ვარ ისეთი ქვეყნის პრემიერი, რომლის ხალხიც ერთსულოვანია

ლოვანია, რეალობად აქციოს ჩვენი ევროატლანტიკური ამბიციები

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მესამე ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, საქართველოც დგას შიდა გამოწვევების წინაშე.

„მეორე მხრივ, მე ვამაყობ, რომ ვარ ისეთი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომლის ხალხიც ერთსულოვანია თავის მზადყოფნაში, მიიღოს ცვლილებები, რათა რეალობად აქციოს ჩვენი ევროატლანტიკური ამბიციები. ჩვენ ვართ ქვეყანა გახსნილი გონებითა და გლობალური კავშირებით, რომელიც მზად არის კავშირების განმტკიცებისთვის არა მხოლოდ თავის სამეზობლოში, არამედ ყველა კონტინენტზე“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, გასულ კვირას თბილისმა უმასპინძლა მნიშვნელოვან კონფერენციას, „აბრეშუმის გზის ფორუმს“, რომელშიც მონაწილეობდა ათასზე მეტი წარმომადგენელი.

„საქართველო მზად არის, გახდეს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ცენტრი. უცხოური ინვესტიციები იზრდება. მსოფლიო ბანკისა და სხვა სააგენტოების რეიტინგებში ბიზნესის წარმოების სიმარტივისა და კორუფციის არარსებობის კუთხით ჩვენი მაჩვენებლები მაღალია. შიდა სტაბილურობა და გარე უსაფრთხოება განუყოფელია. ჩვენი რეგიონი რთულია, მაგრამ გარწმუნებთ, რომ საქართველო ძალ-ღონეს არ იშურებს და არ დაიშურებს კავკასიაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების დასამკვიდრებლად“, — განაცხადა ღარიბაშილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველო ერთგულად ემსახურება თავის მეზობლებს შორის მშვიდობის დამყარებისა და კონტინენტებს შორის ვაჭრობის გააქტიურების საქმეს.

ნაცდეკუგაგი ბარიელ ლონდარიძე ღარბაზიდან მიაბრძანეს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ ტარიელ ლონდარიძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. მთავარობის ადმინისტრაციაში გუშინ მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომა იმართებოდა.

ლონდარიძე საბჭოს წევრია და აცხადებდა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით გარკვეული კითხვა ჰქონდა. პრემიერ-მინისტრმა მას მიუთითა, რომ სახელმწიფო კომისიის სხდომაში „ქაოსისა და დაპირისპირების“ შეტანას ცდილობდა.

„თუ შემოხვედით იმისთვის, რომ დებოში ატეხოთ, დატოვეთ სხდომა. სახელმწიფო კომისიის სხდომაა და ნუ შემოგაქვთ ქაოსი და დაპირისპირება. დაელოდეთ და მოგცემთ სიტყვას. უფლება არ გაქვთ, ასე ისაუბროთ“, — მიმართა პრემიერმა ლონდარიძეს, რის შემდეგაც მან სხდომა დატოვა.

ლონდარიძე მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრია. მასთან ერთად მთავრობის ადმინისტრაციაში ნაციონალური მოძრაობიდან გიორგი ვაშაძე და აკაკი ბობოხიძე იმყოფებოდნენ, თუმცა მათ სხდომაზე დასწრების უფლება არ მისცეს, რადგან აღნიშნული საბჭოს წევრები არ არიან.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ძალიან დიდ პატივს მივაგებ ყველას, ვინც „რუსთავი-2“-ის დასაცავად გამოდის.

ცხადია, მათ აქვთ თავიანთი ფინანსური ინტერესები და უბრალოდ ვიტყვი, რომ ზუსტად იგივე მხარდაჭერას ვუცხადებ ნებისმიერ სახაჭაპურეს, ან ვულკანიზაციას, რომელთა მფლობელებს შორის არის ფინანსური გაურკვევლობა.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ არის ზუსტად იგივე შ..პ.ს. როგორის არის ვაგზლის მოედანზე მდებარე შპს „სიყვარული 1998“.

ჩემი პატივიცემა და მხარდაჭერა იქნება ზუსტად ერთნაირი.

● თუ სასამართლოს არ ენდობით, ვერ გრძნობთ თავს უსაფრთხოდ, მეგა-ჭინთვების მიუხედავად1000 კაცსაც ვერ აგროვებთ თავისუფალი სიტყვის საბადო — „რუსთავი-2“-ის მხარდასაჭერ კონცერტზე, გდევნიან, გაწამებენ (გოკა გაბაშვილმა თქვა, ჩვენ მხარდამჭერებს არაადამიანური მეთოდებით აწამებენო — არ ვხუმრობ, ესეც იკადრეს), ქვეყანა იღუპება, შიმშილია, სიცივეა, ბნელია, უკუნია, „გაზპრომის“ გაზიც არ ათბობს, ხელისუფლების მიერ ერთადერთ არაკონტროლირებად ტელევიზიას გართმევენ და მართალ სიტყვას ახშობენ (თან ვიცინი ამას რო ვწერ), არსებობს კადრები +18, რომლითაც გაშანტაჟებენ (რეებს კადრულობენ, გადაღებულის წაშლაც არ ინებეს ამ დამპლებმა!), ურთმელიძის დედის ნაჯახზე მეტი თემა აღარ დაგრჩათ, რაზეც ხალხს დაელაპარაკებით, რუსი ოლიგარქი მართავს ქვეყანას — რომელსაც 9 წელი შარავანდედი დაადგით, ისე გააბრწყინეთ, თუ — ვანო, გიგი, ახალაია, ფირცხალავა, ცაავა და სხვები თავის უსპეტაკესად განვლილი ცხოვრების გზის მიუხედავად, ციხეში მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით აღმოჩნდნენ და ა.შ... ჰოდა, რისი თქმა მინდოდა... ნულარ ფაფხურობთ, მოკაკვეთ მიშას გადაგრეხილი თითები, რაც მე „ზღვა ხალხი განახეთ“ კონცერტზე, ამდენ „თუს“ ვერ მოერევით, დამიჯერეთ.

● „ბლატნოი“ სამუშაო აქვს გენერალ ირინა იმერლიშვილს. — პრეზიდენტის გვერდით ჯდომა.

ნეტავ ხელფასი რამდენია ამ საქმეში?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

როგორ „კეთდება“... რევოლუცია

◎ შეთქმულება?

„სააკაშვილი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს“

ამ სათაურით უკრაინული ვებგვერდი „wikileaks.center“ საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას სტამბოლის ათათურქის აეროპორტში 22 ოქტომბერს, დილის 06:18 საათზე საუბრის სტენოგრამას ავრცელებს.

გიგა ბოკერია: გავიმეორებ, ის ბიჭები სტარტზე არიან. ისინი რეალურად ყველაფერს გადაუვლიან, მაგრამ ერთია, რომ შეიძლება იყოს მსხვერპლი.

მიხეილ სააკაშვილი: მერე რა, იყოს, ეს ხომ უკეთესია! ნიკა რომ მაგრად არ დაზარალდეს, იყოს დასისხლიანებული, უფრო ეფექტურად გამოიყურება... თუკი ქალს სცემენ, ქალს ბავშთან ერთად, ზუსტად ის არის, რაც საჭიროა. ვინმე შეარჩიე კოლექტივიდან. ამ თემას ბომბივით ავაფეთქებთ. პინგვინის ამ ბანდის თავდასხმა თავისუფალ მედიაზე, მთელ მსოფლიოს შეძრავს. საჭიროა, ყველაფერი კამერაზე დაფიქსირდეს. გვარამიასგან გმირს შევქმნით, ახალგაზრდა დედის მკვლელობა კი მთელ საქართველოს ფეხზე დააყენებს. შენი ნიღბიანი ბიჭები შეუმჩნევლად უნდა გაქრნენ.

ამავე მასალის თანახმად, გიგა ბოკერია მიხეილ სააკაშვილს პასუხობს, რომ ამის შესახებ არავინ არ უნდა იცოდეს და არც ნიკა გვარამიას ეტყვის. მისი თქმით, თუ ეს გამჟღავნდება, ყველაფერი ჩაიშლება. ბოკერიას თქმით, ის ბიჭებთან პირდაპირ არ კონტაქტობს, არამედ „გაგუშა“ (? — ს. ა.) მუშაობს მათთან და თავად ამ საქმეში არ გამოჩნდებიან. სცენარი დამუშავებულია, ოპერატორი იქნება „რუსთავი-2“-დან, ის ყველაფერს დააფიქსირებს. ბიჭებს ეცოდინებათ და მას ხელს არ ახლებენ. ამის შემდეგ ყველა თურქეთში შეუმჩნევლად გადავა. ამ ყველაფრისთვის 160 (ალბათ სხვათა ლიდერი — ს. ა.) უნდა გამოიყოს“.

მიხეილ სააკაშვილი: მე ხომ ვთქვი, ბეჟო (ბეჟუაშვილი? — **ს. ა.**) ყველაფერს გადაწყვეტს, ის ახლა თბილისში არ არის. ზურამ (ადეიშვილი? — **ს. ა.**) გაიფრთხილა და თავის თანხას შენ მოგიტანს. მთავარია ყველაფერი სწორად წარმოვაჩინოთ. „რუსთავი-2“-ზე თავდასხმისა და მსხვერპლის ფონზე ამ ნაბიჭვრებს გადავაგდებთ!! ვინ არის მოძალადე, ყველა ნახავს. გიგა! შეხვდი გიორგის (მარგველაშვილს — **ს. ა.**). ჩემგან მადლობა გადაუხადე და სთხოვე გამოვიდეს და გააკეთოს განცხადება, მოიწვიოს ელჩები, იქ სიტყვის თავისუფლება, კონსტიტუცია და ა. შ. მან იცის, რომ არ დავტოვებთ უყურადღებოდ.

გიგა ბოკერია: მარგველას (მარგველაშვილს! — **ს. ა.**) დილითვე შევხვდები, როგორც კი ჩავფრინდები. გამოვა, აბა სად წავა. ჩვენმა გეგმამ რეალურად შეიძლება გადაარჩინოს ტელევიზია და ჩვენი მოძრაობა. როგორც კი ფულს მივიღებთ, დავიწყებთ.

საიტზე გამოქვეყნებული სტენოგრამის თანახმად, საუბრის ბოლოს მიხეილ სააკაშვილი გიგა ბოკერიას სთხოვს, შეეცადოს, სასამართლო სხდომამდე გააკეთოს, მერე კი სასამართლო საჭირო არ იქნება.

ამავე ტექსტის თანახმად, გიგა ბოკერია პირობას აძლევს, რომ მოასწრებს. მისი თქმით, მოსამართლე ურთმელიძე ადეიშვილზე ყოფილა განაწყენებული და ამიტომ დათანხმდა საქმის განხილვას. „სასამართლოში ჩვენი ხალხია დარჩენილი და ვიცი როგორ შევაშინებთ. ზაზა მეიშვილი და შავლიაშვილი უზენაესი სასამართლოდან აქტიურად არიან ჩართულნი. ეს თემა ზურას მიყავს. მთავარია დაგეგმილი ზუსტად გავაკეთოთ და როგორც შენ თქვი, სასამართლო აზრს დაკარგავს“.

პირველი, რაც ამ სტენოგრამის წაკითხვისას თავში მომივიდა, ეს არის: ნაყალბევია, არ შეიძლება ეს მართალი იყოს, არ შეიძლება ქართველ კაცს ეს ჯოჯოხეთური გეგმა თავში მოუვიდეს!

მაგრამ მერე, როცა პირველი ემოცია ჩაცხრება, უკვე სხვა აზრი გეუფლება: სწორედაც, რომ ნამდვილი შეიძლება იყოს, რადგან სააკაშვილ-ბოკერიას და ძმათა მათთა პოლიტიკური ბრძოლის ლოგიკა სწორედ ასეთ ღალატს, დანაშაულს გულისხმობს და ეფუძნება.

დაუკვირდით რა იოლი ჩანს ყველაფერი. ნიკა გვარამია გაილახება, ოღონდ ძალიან არ უნდა დაზარალდეს, მხოლოდ დასისხლიანდეს, რათა უფრო ეფექტიანად წარმოჩნდეს, როგორც შემწვარი ნიგოზი სათაგურში. ნაცები უკანასკნელ ხმაზე აბღავლებენ უკვე აპრობირებულ ლოზუნგს: დავიცვათ თავისუფალი სიტყვა! რაც ცხვირპირშეღებილი გვარამიას ილუსტრირებით მომხრეებს უკიდურესობამდე გაახურებს.

მაგრამ ერთი ნიკა გვარამიას ცხვირპირის შეღებვა და მონგრვა არ ჰყოფნის რევოლუციას. საჭიროა ნამდვილი სისხლი, ნამდვილი მსხვერპლი და აი მწიფდება იდეა. თავისუფლების მოედანზე გაიმართება ნაცების საპროტესტო დემონსტრაცია, რა თქმა უნდა მშვიდობიანი, იქნებ კონცერტის თანხლებითაც კი, რომელსაც თავს დაესხმება „პინგვინის ბანდა“ (პინგვინში ან ზებრაში ვინც იგულისხმება, გასაგებია — **ს. ა.**) და ამ დროს **„საჭიროა“ ბავშვიანი ქალის ცემით მისიკვდილება, სახალხოდ, კამერებზე აღბეჭდვით.** ეს ქალი შინაურებიდან, „კოლექტივიდან“ უნდა შეირჩეს. **ახალგაზრდა დედის მკვლელობა მთელ საქართველოს ფეხზე დააყენებს, მთელ მსოფლიოს შეძრავს.**

ბოკერიას ამ ოპერაციისთვის „ბიჭები“ უკვე მზად ჰყავს, ისინი უკვე სტარტზე არიან, ყველაფერს გადაუვლიან. ოპერაცია უკიდურესი საიდუმლოებით უნდა ჩატარდეს, ყველაფერი თვით გვარამიამაც არ უნდა იცოდეს, გვარამიამ, რომლისგანაც გმირი უნდა შექმნან.

ასეთი ბინძური გეგმა ბინძურ თავებში უნდა დაიბადოს. აკი დაიბადა ბინძურ თავებში მამაკაცთა გაუპატიურება კამერების თანხლებით და ამით მათი დაშანტაჟება და ნეიტრალიზება! მთავარია ყველაფერი სწორად წარმოაჩინონ „რუსთავზე“. თავდასხმის და მსხვერპლის ფონზე „ამ ნაბიჭვრებს“ გადააგდებენ, ყველა ნახავს ვინ არის მოძალადე!

ასეთია გეგმა, რომელიც მოფიქრებული აქვთ ყოფილ პრეზიდენტს, ვარდების რევოლუციის გმირს მიხეილ სააკაშვილს და მის რუხ კარდინალს, უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს გიგა ბოკერიას.

არ შეიძლება უფრო მზაკვრული, უფრო შემზარავი რამის მოფიქრება!

კვლავ გავიმეოროთ: შეიძლება ეს ყველაფერი ნაყალბევია, პოლიტიკური მოწინააღმდეგის ხრიკებია. ოღონდ, ეს სიბინძურე სწორედ მათ რატომ მიეწერათ?!

ასევე დამაფიქრებელია „მარგველასთან“ დაკავშირებული მსჯელობა. „მარგველას“ ევალება გამოსვლა და განცხადების გაკეთება, ელჩების მიწვევა და იქ სიტყვის წარმოთქმა თავისუფლებაზე, კონსტიტუციაზე და ა. შ.

იქნებ დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია, პრეზიდენტ მარგველაშვილის 23 ოქტომბრის განცხადება, ასე ვთქვათ, თავისუფალი სიტყვის გადასარჩენად, საეჭვოდ ემთხვევა დროში, სააკაშვილისთვის გიგა ბოკერიას დაპირება „მარგველას, როგორც კი ჩავფრინდები, დილითვე შევხვდები და გამოვა, აბა სად წავაო. გიგამ ეს სწორედ 22 ოქტომბერს თქვა...

კიდევ გავიმეორებ: უკრაინულ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტენოგრამა შეიძლება შეთითხნილიც იყოს, მაგრამ ბევრი რამ საეჭვოდ გეცემა თვალში.

გიგა ბოკერიამ ჟურნალისტთა კითხვაზე ამას „სრული ბოდვა“ უწოდა (აბა რას იზამდა!). მაგრამ ვაი თუ ბოდვა არ არის?!

ერთი კია, პროვოკაციის ჩაფიქრებული სქემა უკვე ჩამოსაწერია.

სანდრო ალექსიძე

◎ საიდუმლო

თამარ ჩერგოლეიშვილის გეგმა ბ...

მოკლედ, ჰაერი მოახლოებული ზამთრით, თვალებდაჭყეტილი რევოლუციით, წკიპზე მდგარი სამოქალაქო ომით, ენაჭარტალა შეთქმულებითა და უალაჯო რევანშით არის დამუხტული.

დღეს ყოველი მეორე კაცი საიდუმლოების მფლობელია, რომელიც მთელმა ქვეყანამ იცის!..

„წინასაომარ“ ორომტრიალში აქტიურად არიან ჩაბმული ქალებიც, განსაკუთრებით — ცოლები.

აი, იმ დღესაც ერთი საიდუმლო იქცა სახალხო კუთვნილებად.

თამარ ჩერგოლეიშვილმა, ჟურნალისტმა, რედაქტორმა და, რაც მთავარია, ცოლმა, Prame Time News-ის კორესპონდენტს 22 ოქტომბერს (15:38) შემდგარი საუბრისას განუცხადა, **მას შემდეგ, რაც გავიგებთ თუ რა ბედი ეწევა „რუსთავი-2“-ს, გეგმა ბ-ზე გადავალთო!**

შემდეგ უფრო დააკონკრეტა: **ჩვენ გვაქვს გეგმა ბ, რომლის მიხედვითაც აუცილებლად ვიმოქმედებთ. ივანი შვილი ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს, ვერანაირი მეთოდით. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, რესურსებიც გვაქვს, ინტელექტუალურიც. არ ვიცი, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები სად გადავლენ, მაგრამ არსებობს გეგმა. ამ გეგმის შესახებ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მას შემდეგ შეიტყობთ, რაც გამოჩნდება რა ბედი ეწევა „რუსთავი-2“-ს.**

ამ განცხადებამ უმალ შეიძინა მისტიკური მნიშვნელობა.

უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ განმცხადებელი არ არის რიგითი ფიგურა, ყოფილი ხელისუფლების და დღევანდელი ოპოზიციის მეორე კაცის გიგა ბოკერიას ცოლია და მისი ყოველი ნათქვამი გულუბრყვილო მოქალაქეში იწვევს განცდას, რომ ამ ქალის მიერ გაჟღერებული ნებისმიერი ინფორმაცია, მაინცდამაინც ქმრის მიერ ლოგინში ცოლისთვის ყურშია ჩაფუჩუნებული. ამიტომ გასავალიც მეტი აქვს და გამავლობაც.

ზემორე ნახსენები საიდუმლოებით მოცული განცხადება მრავალ კითხვას ბადებს.

უპირველეს ყოვლისა: ვინ არიან ისინი, ვისაც თამარი „ჩვენებში“ გულისხმობს და რა იმედებს დებენ „რუსთავი-2“-ს, თანაც არა უბრალოდ იმედებს, არამედ გეგმიან იმედებს, რომლის პირველი ნაწილიც თუ არ გაამართლებს, მეორე ნაწილზე — ბ-ზე გადავლენ, რომელმაც აუცილებლად უნდა მოიტანოს გამარჯვება.

ერთი სიტყვით, დღეს რამდენი კაციც (ქალიც) არის, იმდენი საიდუმლოებაა (ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საიდუმლოებას ვგულისხმობ და არა კაცების და ქალების ყოფით საიდუმლოებებს).

შემდეგ: რას წარმოადგენს გეგმა ბ და როგორ მოხდება მასზე გადასვლა (ნარნარად, ძალადურად თუ საიდუმლოდ?), ანუ გადასვლის შემდეგ რა ჩიტს დაიჭერენ თამარის განცხადების ადრესატები?

მაგრამ მთავარი არც ეგ არის. აი გეგმა **ბ**-მაც რომ არ გაამართლოს და გეგმა **გ**-ზე ან **დ**-ზე გადასვლა გახდეს საჭირო, მერე?!

თუ მარტო თამარის ირგვლივ შემოკრებილნი დაზარალდებიან ამ საეჭვო ექსპერიმენტით, კიდევ აიტანს ერი, მაგრამ თუ მას წყალში ჩაგდებული კენჭივით ფართო წრიული ტალღები მოჰყვება?

მე არ ვიცი რას გულისხმობს თავის რებუსში (არადა, შეიძლება სულაც უვნებელი რამ იყოს) ქალბატონი თამარ ჩერგოლეიშვილი, მაგრამ რადგანაც ასეთ კითხვებს აღძრავს, სავარაუდოა, სერიოზული რამაც აღმოჩნდეს. ის კი არა, ზოგიერთმა იქნებ რაღაც პარალელიც კი გაავლოს ამ ნათქვამსა და უკრაინულ ვებგვერდზე wikileakscenter გამოქვეყნებულ მიხეილ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას სტამბოლის აეროპორტში 22 ოქტომბერს შემდგარი საუბრის სტენოგრამასთან, რომელიც, სხვათა შორის, „საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელ ნომერში ქვეყნდება.

კაცია და გუნება!..

ალექსანდრე ავალიშვილი

◎ სასამართლო

ნიკა გვარამიას დაკითხვა გადაიდო

საძარცველოს მთავარ პროკურატურაში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას დაკითხვა გადაიდო. აღნიშნულის მიზეზი გვარამიას ადვოკატის ლევან ვეფხვაძის მოუცლელობაა.

როგორც ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, დაკითხვა ორშაბათს იყო დაგეგმილი, თუმცა ადვოკატი სხვა პროცესზე მუშაობს. ნიკა გვარამია დღეს, 13:00 საათზე დაიკითხება.

ნიკა გვარამიას დაკითხვა მისი განცხადების საფუძველზე დაწყებულ გამოძიებას უკავშირდება, რომლის მიხედვით, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი — 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანისგან ხელისუფლების მესიჯი მიიღო, რომელიც მუქარასა და შანტაჟს შეიცავს.

პროკურატურამ ნიკა გვარამია და ალექსი ახვლედიანი უკვე დაკითხა.

ინტერპრესი

როცა შუბის ხალთაში დამალვას ცდილობენ

ლევან და გია ყარამანიშვილების დაცვის მხარემ „რუსთავი-2“-ის სასამართლო დავაში უცხოური კომპანიების ჩართვა მოითხოვა, საუბარია ბრიტანეთსა და მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანიებზე, კერძოდ კი „დეგსონ ლიმითედსა“ და „ჩემქსიმ ინტერნეშენალ ზე“. ადვოკატის მტკიცებით, ამ კომპანიებიდან იყიდეს ძმებმა ყარამანიშვილებმა „რუსთავი-2“-ის წილები. შესაბამისად, ეს კომპანიები უნდა ჩაერთონ დავაში, რათა ტელეკომპანიის მფლობელებს ზარალისა და წილებში გადახდილი თანხების უკან დაბრუნების მოთხოვნის საშუალება მიეცეთ.

რამდენადაც for.ge-სთვისაა ცნობილი, ამ კომპანიებიდან, ერთი ყარამანიშვილების საკუთრებაა, ხოლო მეორე — ბეჟუაშვილის.

რატომ ცდილობს „რუსთავი-2“ პროცესის გაჭიანურებას და რამდენად არგუმენტირებული იყო მოპასუხე მხარის შუამდგომლობები? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატს პაატა სალიას ესაუბრა.

— „რუსთავი-2“ ითხოვს ყადაღის შედეგად მიყენებული ზიანის — 700 000 აშშ დოლარის — საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანას, ამავე ანგარიშზე 400 000 დოლარის შეტანას ითხოვენ ძმები ყარამანიშვილებიც. ბატონო პაატა, რას ნიშნავს ყადაღის შედეგად მიყენებული ზიანი და რამდენად მნიშვნელოვანია ამ დავაში ეს საკითხი?

— მოთხოვნა აბსოლუტურად უსაფუძვლოა, მითუმეტეს, რომ იგი დაკავშირებული არ არის დავის არსებით განხილვასთან, ეს დაკავშირებულია სარჩელის უზრუნველყოფასთან, ანუ დაყადაღებით თუ მათ ადგებათ ზიანი ან მიადგებათ მომავალში, და თუკი ჩვენი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მათ უფლება ექნებათ, ზარალის ანაზღაურება მოითხოვონ ჩვენგან.

— მაგრამ, ამ შემთხვევაში ზარალი არ უნდა დასტურდებოდეს?

— ან უნდა იყოს უკვე ზარალი, ან უნდა დასტურდებოდეს მომავალში საიდან იქნება ეს ზარალი გამოწვეული. ამ შემთხვევაში, თუკი ეს აკმაყოფილებს კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს, სასამართლოს შეუძლია, მოგვთხოვოს ამ გარანტიის წარდგენა 7 დღის ვადაში.

— ამ შემთხვევაში რამდენად საფუძვლიანი იყო „რუსთავი 2“-ის შუამდგომლობა?

— ამის არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ. მე უკვე წარვადგინე სასამართლოზე ჩვენი პოზიცია. ამ შუამდგომლობაზე მოსამართლის გადაწყვეტილება ორშაბათს იქნება ცნობილი. ეს შუამდგომლობა მათ შეეძლოთ მანამდეც წარედგინათ, თუნდაც — აპელაციაში, მაგრამ მოპასუხე მხარის მცდელობაა პროცესის გახანგრძლივება, რომ ვერ გადავიდეთ არსებით განხილვაზე, ანუ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენაზე.

მოგეხსენებათ, რომ საქმის არსებითი განხილვა დაიწყო ორშაბათს 11:00 საათზე და ზუსტად 6 საათამდე მოვანდომეთ შუამდგომლობების განხილვას, პარასკევის სასამართლო სხდომაც უკვე იდეაფიქსად ქცეული მოსამართლის აცილების შუამდგომლობით დაიწყო და დაახლოებით 2 საათი ვიხილავდით ამ შუამდგომლობას. შემდეგ, უკვე, იყო სხვა შუამდგომლობები. ბოლოს, როცა ყველა შესაძლო შუამდგომლობა გამოელიათ, დააყენეს ის შუამდგომლობა, რაზეც ვისაუბრეთ. ალბათ, იმედი ჰქონდათ, რომ გახანგრძლივებდნენ ამ პროცესს. ეს მიზანმიმართული ქმედება იყო.

— რატომ, რა ინტერესი აქვთ?

— მოგეხსენებათ, მათ თავად გამოაცხადეს, რომ სასამართლოს იმ დღეს უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება.

— ბატონო პაატა, აღსრულებაზე შეტანილი გქონდათ განცხადება?

— არა. ამ ეტაპზე ეს საკითხი არ დგას. მე დავაკვირდები სასამართლოს მსვლელობას და თუ ვნახე, რომ ჩემი არგუმენტები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პროცესი მოვიგო, მაშინ აზრი არ აქვს აღსრულების საკითხის დაყენებას. თუ ჩავთვლი, რომ დამაჯერებელია ჩემი პოზიცია, მაშინ შეიძლება დავაყენო ეს საკითხი. სხდომის გადადება მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რომ ეთქვათ, აი, მოსამართლე დღეს აპირებდა გადაწყვეტილების გამოტანას, უკვე დაწერილი ჰქონდა გადაწყვეტილება, სააღსრულებო ფურცელი და ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მოსამართლემ ეს დღეს ვერ შეძლო და ჩვენ გავიმარჯვეთო. აი, ეს სვლა იყო მათი მხრიდან.

— საქმის მოცულობიდან გამომდინარე მოესწრებოდა დღის ბოლომდე გადაწყვეტილების მიღება?

— არა, რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ დღის ბოლოს მომეცა საშუალება, ახსნა-განმარტებაზე გადავსულვიყავი და მარტო ჩემი პოზიციის გამოსახატავად დამჭირდა დაახლოებით საათნახევარი. წარმოიდგინეთ, რომ მეორე მხარეს არის 7 მოპასუხე, ყველამ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია და მაქსიმალურად ეცდებიან, რომ ბევრი ილაპარაკონ. უნდა დაიკითხოს ექსპერტი, ამის შემდეგ უნდა დაიწყოს მხარეთა შეკითხვები, მერე უკვე მტკიცებულებათა გამოკვლება, პაექრობა და ა.შ. ასე რომ, ფიზიკურად შეუძლებელი იყო პარასკევს დამთავრებულიყო სასამართლო. თვითონვე დადგეს ეს სპექტაკლი იმისათვის, რომ ის ბუნებრივი პროცესი რაც მიმდინარეობს, როგორც უკვე გითხარით, ჩაეთვალათ თავიანთ გამარჯვებად, ეს იყო და ეს.

— რაც შეეხება დავაში უცხოური კომპანიების ჩართვას და საუბარი ოფშორულ კომპანიებზე, კერძოდ კი „დეგსონ ლიმითედსა“ და „ჩემქსიმ ინტერნეშენალ ზე“. ადვოკატი ამტკიცებდა, რომ ძმებმა ყარამანიშვილებმა ამ კომპანიებიდან იყიდეს „რუსთავი-2“-ის წილები, თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ამ კომპანიებიდან ერთი ყარამანიშვილების საკუთრებაა, მეორე კი ბეჟუაშვილის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოპასუხე მხარის მიზანია დროის გაჭიანურება, ეს შუამდგომლობაც ამ მოტივით იყო დაყენებული?

— რა თქმა უნდა. თუ ისინი თვლიდნენ, რომ უნდა ჩართულიყო ოფშორული კომპანიები, მათ შეეძლოთ ეს შუამდგომლობა მოსამზადებელ სხდომაზე დაეყენებინათ, აგვისტოს შუა რიცხვებში მათთვის ცნობილი იყო ეს ყველაფერი. რაც მთავარია, რამაც დიდი დრო წაგვართვა, ეს იყო აცილების შუამდგომლობა და მტკიცებულებად წარმოადგინეს თავიანთ მიერვე შექმნილი სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო რაღაცა დოკუმენტებზე, მოსამართლის ქონებრივ დეკლარაციასა და სასამართლო დავებზე.

ამ სიუჟეტის გარდა, ადვოკატებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები. სიუჟეტში ნაჩვენები იყო რაღაცა დოკუმენტები, სადაც გახაზული იყო მოსამართლის სახელი და გვარი, თითქოს ამით რაღაცა დასკვნა უნდა გამოეტანა მაყურებელს. ჩვენ ვართ იურისტები და სასამართლოზე უნდა ვისაუბროთ მტკიცებულებებით, რაც წარმოდგენილი არ იყო. ეს ვერ გახდებოდა მოსამართლის აცილების საფუძველი. ეჭვი ობიექტიურად უნდა არსებობდეს და ამ ეჭვს რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს. აბსოლუტურად დაუსაბუთებელი იყო ყველა შუამდგომლობა.

— ბატონო პაატა, თქვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება მოსამართლე?

— არაერთხელ ვთქვი სასამართლო სხდომაზე და ეს ჩანაწერი აქვს „რუსთავი 2“-ს, თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ ეს ჩანაწერი. ისინი ვალდებული არიან, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისცენ სასამართლო სხდომის სრული ჩანაწერი.

> „მათთვის ურთმელიძე კი არა, ზოგადად სასამართლოა პრობლემა“

— for.ge-მ მოითხოვა პირველი მოსამზადებელი სასამართლო სხდომის ჩანაწერი, მაგრამ დღემდე ჩვენ ვერ მივიღეთ ეს ჩანაწერი...

— ჟურნალისტებისგან მივიღე ინფორმაცია, რომ „რუსთავი-2“ არ აძლევს მათ ჩანაწერებს, სხვათა შორის, ვუთხარი ამის შესახებ „რუსთავი-2“-ს, მათ ეს კატეგორიულად გამორიცხეს.

— ეს არის ტყუილი. ჩვენ წერილობით მივმართეთ და მოვითხოვეთ პირველი მოსამზადებელი სხდომის ჩანაწერი, რაც ამ დრომდე არ მიგვიღია. ბატონო პაატა, დავუბრუნდეთ მოსამართლის საკითხს...

— არაერთხელ განვაცხადე, რომ ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება მოსამართლე, ისევე, როგორც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ერთი მოსამართლე იქნება თუ სამი. ვეთანხმები, რომ საქმე სამმა მოსამართლემ განიხილოს, მაგრამ აქ სხვა რამეა მთავარი — მათთვის ურთმელიძე კი არა, ზოგადად, სასამართლოა პრობლემა, რადგან ჩვენ გვაქვს გაცილებით მეტი სამართლებრივი არგუმენტი, ვიდრე მათ. პირველი დღიდან დაიწყო ამ დავის პოლიტიზება და ყველა მაღალი თანამდებობის პირის მიბმა ამ სასამართლო დავასთან.

მინდა გითხრათ, რომ ძალიან არ მომეწონა პრეზიდენტის განცხადება, როდესაც მან თქვა, რომ სასამართლომ არ უნდა მიიღოს ხისტი და ნაჩქარევი გადაწყვეტილება. პრეზიდენტის ეს მითითება შეიძლება პირდაპირ ზეწოლად იქნას აღქმული სასამართლოზე. პრეზიდენტმა უნდა განმარტოს რას ნიშნავს ხისტი გადაწყვეტილება.

ხისტი გადაწყვეტილებაა ის, რომ ქიბარ ხალვაშს უნდა დაუბრუნდეს საკუთარი წილები და სასამართლომ არ უნდა მიიღოს ასეთი ასეთი გადაწყვეტილება? სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე ამ ფრაზის შინაარსი. სასამართლო უნდა იყოს თავისუფალი ყველანაირი ზეწოლისგან და მათ შორის პრეზიდენტის ზეწოლისგან.

— პრეზიდენტის ეს განცხადება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ზეწოლა სასამართლოზე?

— მე, როგორც მოსარჩელე მხარე, ვფიქრობ პრეზიდენტის განცხადება ემსახურება იმას, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს. ასე რომ, ძალიან ფრთხილი უნდა იყოს ყველა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება მოსამართლე, მათი მიზანია საერთოდ აიცილონ სამართალწარმოება. ჩვენს ინტერესშია, რომ დავა განხილული იქნას კანონით გათვალისწინებულ ვადებში და სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება. არ მოგვეწონება — გავასაჩივრებთ.

— რეალური მიზანი პროცესებისა, რაც ბოლო ერთი კვირაა ვითარდება „რუსთავი-2“-ის გარშემო, ხომ არ არის არხის ხელმძღვანელობის მხრიდან არხის გათიშვა?

— ეს მათ უნდა ჰკითხოთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არხი არ გაითიშოს. ეს არის ჩემი მარწმუნებლის გამოკვეთილი პოზიციაც. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლება. არ გვინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც არ იქნება სიტყვის თავისუფლება. ეს პროცესი დაკავშირებული არ არის სიტყვის თავისუფლებასთან, ეს დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან.

იმის ნიშნები, რომ ტელეკომპანიას ეზღუდება სიტყვის თავისუფლება, არ არსებობს და არავის მათთვის სიტყვის თავისუფლება არ შუზღუდავს. უბრალოდ, სასამართლო დავის შეფუთვა ხდება ასე. როგორც სიტყვის თავისუფლებაა კონსტიტუციურად გარანტირებული, ასევე გარანტირებულია საკუთრების უფლებაც და ამ უფლებაზე ვდაობთ სასამართლოზე. გარდა ამისა, ჩემი მარწმუნებელი დავობს სხვა ქონების დაბრუნებაზეც.

— თუმცა, ძალიან ბევრი კითხვა ისმება, რატომ დაიწყო დავა ხალვაშმა ახლა და არა სამი წლის წინათ, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა?

— ამაზე ძალიან მარტივი პასუხი გვაქვს. 2005 წლის დეკემბრიდან დაიწყო „რუსთავი-2“-ის წილების გადაფორმება, კერძოდ კი, გადაფორმდა 22% და 2006 წლის ნოემბერში გადაფორმდა დანარჩენი წილები. იმ საფუძვლით, რითაც ჩვენ მოვითხოვთ გარიგების ბათილობას. საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ჩვენ წელს გვეწურებოდა ეს ვადა. სამოქალაქო სასამართლოსთვის რომ მიგვემართა, ეს რესურსი ამოწურული არ იყო. იმედი გვქონდა, რომ სხვა ქონებებთან დაკავშირებით, ისევე როგორც ამ ქონებასთან დაკავშირებით, პროკურატურა რამე გადაწყვეტილებას მიიღებდა და საქმეს გადასცემდა სასამართლოს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ხანდაზმულობის ვადა კი, იწურებოდა. როდესაც „რუსთავი-2“-ს და კერძოდ „ბიზნეს კურიერს“ მივეცი ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ, მათ სულ სხვანაირად შემოატრიალეს და თქვეს, რომ თითქოს, ქიბარ ხალვაშს მთავრობა ევაჭრება და „რუსთავი-2“-ზე დავა იმიტომ დაიწყო, რომ სხვა ქონებები მიიღოსო. მე კი ვუთხარი, რომ სხვა ქონებების დაბრუნებასთან დაკავშირებით, საქართველოში ყველანაირი რესურსი ამოიწურა, პროკურატურა არაფერს აკეთებს და ამ ნაწილში ველოდებით სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს გარემოება არ აწყობდა ბატონ გოგიჩაიშვილს და არ გააშუქა. რაც შეეხება სხვა ქონებებს, ვიმეორებ, ჩვენ არ გვაქვს იმედი, რომ საქართველოს მთავრობა ამ კუთხით რაიმე ნაბიჯებს გადადგამს და ჩვენი რეალური მოლოდინი მიმართულია სტრასბურგის სასამართლოსკენ სხვა ქონებების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

თამთა ძარჩავა

◎ კაკალ გულში

მინდა გავიხსენო იგორ მოლჩანოვის ფრაზა, რომელიც მან ე.წ. გკჩპ-ს შემდეგ გადაცემა 120 წუთში თქვა: გკჩპ იყო კომკავშირელების მოწყობილი გადატრიალების მცდელობა და ცხადია, ეს გადატრიალება ვერ განხორციელდებოდა.

მე ვამბობ: დაძაბულობის ესკალაცია, რომლის გაკეთებასაც გაურკვეველი სქემის, პოლიტიკური მრწამსის, ეროვნების, სარწმუნოების, დ.ა.შ. ხალხი ცდილობს (დიახ, სწორედაც რომ „გააკეთოს“ და არა „მოახდინოს“), თავშივე განწირულია დამარცხებისთვის, დაწყების აბსურდულობისთვის, იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ხალხი (აქაც გამოკვეთილად ვამბობ სიტყვას „ხალხი“ და არა „საზოგადოება“, და არა „ცნობადი სახეები“, და არა „საერთაშორისო საზოგადოება“ დ.ა.შ.) ასეთ უმსგავსო ავანტიურებზე არასდროს არ წამოეგება!!!

ვაი, ჩვენს პატრონს!

„გარეთ“ მზეა, ჩვენთან „ბნელა“...

ᲣᲙᲕᲔ მერამდენე დღეა, რაც საქართველოს მოსახლეობა, მედიისა და პოლიტიკოსების წყალობით, ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის ალფრედ ჰიჩკოკის საშინელებათა ფილმების მსგავს ვითარებაში იმყოფება.

ტელეკომპანიის გამო ატეხილი ასეთი გნიასი აშკარა მაჩვენებელია ავადმყოფობისა, რომელიც ქვეყანას სჭირს. ამ ავადმყოფობას პროვინციალიზმი, უგუნურება, უცოდინრობა ჰქვია. „რუსთავი-2“-ის ამბავმა თავისთავად დაუსვა ჩვენი ქვეყნის მედიას, პოლიტიკას, არასამთავრობო ორგანიზაციების „საძმოს“ დიაგნოზი — **უვიცობა და მეტიჩრობა.**

მხოლოდ მსგავსი ავადმყოფობით დასნებოვნებულ ქვეყანას შეუძლია 24-საათიან და ორკვირიან რეჟიმში ინტენსიურად და სკრუპულოზურად ილაპარაკოს ტელეკომპანიასა და მასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესის პერიპეტიებზე, თანაც მაშინ, როდესაც ქვეყის ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური პირობები რთულ ვითარებაშია.

საქართველოს რეალური მდგომარეობა რომ ისეთი არ არის, როგორსაც ვისურვებდით, ყველა ჩვენგანისთვის ნათელია, მაგრამ, როგორც ჩანს, არიან გამონაკლისებიც არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკოსების, მათი ნათესავებისა და მედიის სახით, რომლებსაც ასე არ მიაჩნიათ. დანარჩენებთან შედარებით, ამ კატეგორიის უზრუნველყოფილი ცხოვრება, მაღალი ხელფასები, ხელფასებზე დანამატები, პრემიები, სხვა სიკეთეები აძლევთ მათ სხვაგვარად, ანუ „რუსთავურად“ აზროვნების შანსს.

ცხადია, უზრუნველყოფილთა კატეგორიას მედიის ყველა წარმომადგენელი არ მიეკუთვნება, ისე, როგორც ყველა გაზეთი ან ჟურნალი, მაგრამ ვინც მიეკუთვნება, არცთუ მცირენი არიან. და არის ერთი ვაი-უშველებელი ატეხილი ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში. და ჩვენც იძულებული ვართ, ძალაუნებურად ვუსმინოთ ყმაწვილი გოგო-ბიჭების, ე.წ. პოლიტიკოსების, ექსპერტების, ჟურნალისტების, არასამთავრობების ბოდვას — სიტყვის თავისუფლების, თავისუფალი მედიის, დემოკრატიის შებღალვის შესახებ.

თითქმის არაფერი ისმის მრავალ სატკივარზე, მაგრამ მრავალი სიტყვა „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით; მრავალი მხარდაჭერა ისეთი პოლიტიკური პარტიებისა, რომლებიც დიდი ხანია, პოლიტიკური სასაფლაოს მკვიდრები არიან. სხვას ვერაფერს იტყვი „ედპ“-ზე, „ლეიბორისტებზე“, სხვებსა და სხვებზე, რომელთა არსებობა ქაღალდს თუ შემორჩა. მაგრამ არიან პარტიები, რომლებიც „რუსთავი-2“-ის „ბალელშიკობით“ თავს ახსენებენ საზოგადოებას, როგორც „დემოკრატები“, რომის პაპზე უწმინდესნი. მათ შორის მებაირაღე „თავისუფალ დემოკრატთა“ პარტიაა — ე.წ. დიპლომატებით (ამ კეთილშობილური პროფესიის უცოდინრებით) გაჯერებული. და, რაც მთავარია, „ნაციონალური“ მოძრაობა“ — ყავისფერი პარტია, რომელმაც მრავალწლიანი სადამსჯელო მმართველობით ქვეყანაც დააკლა, მისი აწმყოც და გარკვეულწილად მომავალიც.

მომავალი რა შუაშიაო, არ მკითხოთ. „ნაცებმა“ ისეთი სულისკვეთება დაამკვიდრეს საქართველოში, რომ მის აღმოფხვრას მრავალი წელი დასჭირდება, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქაღალდზე დარჩენილი თუ აქტიური პარტიების დიდი ნაწილი „ნაცთა“ მიერ შექმნილ და თავსმოხვეულ იდეოლოგიას იზიარებს და მხარს უჭერს.

თუმცა „ნაცები“ ამდენს ვერ ითავხედებდნენ, რომ არა „ოცნების“ კოალიციის, განსაკუთრებით „რესპუბლიკელების“ „კეთილშობილური“ მიმტევებლობა. „ოცნებამ“, „ნაცთა“ დასჯის დრო ხელიდან გაუშვა. კოზირები მისცა ხელში დამნაშავე პარტიას, დღეს რომ ბობოქრობს და ქვეყნის დესტაბილიზაციით იმუქრება. ამ მუქარას კი თავის სასარგებლოდ იყენებენ ე.წ. პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანოები, ანგაჟირებული მედია და, რაც მთავარია, ქვეყნის პრეზიდენტი — დაკოდილი და უფუნქციო, მაგრამ მაინც პრეზიდენტი — როგორც თვით ამბობს, კონსტიტუციის გარანტორი. ჯერაც ისრაელში ვიზიტად მყოფმა გვითხრა, თვალს ვადევნებ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და როგორც კი ჩამოვალ, მივხედავ საქმესო.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მარგველაშვილი კარგა ხნით სტუმრობდა ისრაელს და მეორე დღეს კი არა, ერთი თვის შემდეგ აპირებდა დაბრუნებას... მაგრამ ვითარების ხელოვნურად დაძაბვას სჭირდებოდა მისი განცხადება. ჩამოვიდა და რა ჩამოვიდა! ისეთი ცეცხლი დაანთო, მტრისას. თითქოს მართლაც პრეზიდენტი ყოფილიყო — ფაქტობრივი და არა ფიქციური, ბუტაფორიული.

„მთავრობის მეთაურის გამოსვლამ, სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად, მეტი დაძაბულობა შეიტანა ისედაც რთულ ვითარებაში. მოვუწოდებ ყველას, თავი შეიკავოს მძაფრი ნაბიჯებისგან, გავუფრთხილდეთ სამოქალაქო მშვიდობას. მოვუწოდებ მოსამართლეს, არ მიიღოს ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება, რაც კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას“, — ბრძანა მან.

მავნე აქიოტაჟი „რუსთავი-2“-ის გამო და ირგვლივ

არადა, თუ ვინმემ დაძაბა სიტუაცია, თვით პრეზიდენტია. და რატომ? როდესაც სრულიად მშვიდ ვითარებაში ქვეყნის პირველი პირი აკეთებს ასეთ განცხადებას, ვითარება მძიმდება. ვითომ „რუსთავი-2“-ის ყოფილი მფლობელისთვის დაბრუნება დაძაბავს ვითარებას და ხალხს რევოლუციისკენ უბიძგებს?

ბატონო პრეზიდენტო, აღარ არის ის დრო, როდესაც „ნაცებს“ ისეთის აგორება შეუძლიათ, როგორიც იყო წინათ, შს მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომა რომ მოჰყვა. მაშინ, პარლამენის თავმჯდომარის და მისი ამქრის, „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის მიერ აგორებულ ჯანყს უამრავი უფლებამოსილებით აღჭურვილმა პრეზიდენტმა „დედლური“ პასუხი გასცა, რითაც არა მარტო მომავალ „ნაცობას“ მისცა გზა, არამედ „რუსთავი-2“-ის უკიდეგანო პარპაშს. პრეზიდენტის გაუბედაობამ დაამკვიდრა ის განუკითხაობა, რაც ქვეყანაშია და რასაც ელექტრონული მედიის მიერ ქვეყნის მართვა ჰქვია.

სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც ამ ტელევიზიის მუშაკები სისტემატურად იკავებდნენ სხვადასხვა სახის სახელმწიფო თუ საკანონმდებლო თანამდებობებს; როდესაც მათი თვიური ანაზღაურება ათასებს სცდებოდა და სცდება; როდესაც მათი სიტყვა კანონია და მეტიც.

„რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელმა გვარამიამ ბრძანა საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების მიზნით აშშ-ში გახიზვნის შესახებ. არცერთ ჭკუამყოფელს თავში აზრად არ მოსვლია კითხვა — რა ფულით? როგორ უნდა ირჩინოს თავი გვარამიას ოჯახმა აშშ-ი? ისე, როგორც არავის თავში აზრად არ მოსვლია უკრაინის სატელევიზიო ეთერში გაშვებული წამების ამსახველი ვიდეოკადრების პირდაპირი შემოქმედნი, რატომ იმყოფებიან უკრაინის ხელისუფლებაში ან საქართველოში მყოფი „ნაცები“ რატომ დადიან დაუსჯელნი? პირიქით, რაც ქართულ პოლიტიკას მოუვიდა თავში — იმათი დასჯაა, ვინც ვიდეოფილმი უკრაინის ტელესივრცეში გაუშვა. არც არავის უთქვამს, რომ ამ კადრების იქ ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინელთა ცრუ მსოფმხედველობის შესაცვლელად.

ვაი ჩვენს თავს! გარეთ 21-ე საუკუნის მეორე დეკადის ნახევარია — ახალი მენტალიტეტით, ახალი პოლიტიკით, ახალი ფასეულობებით, ჩვენ კი ისევ „რუსთავი-2“-ს გავიძახით, ისევ ჭაობში ვბუყბუყებთ; ისევ ისე ვფიქრობთ, როგორც 10-15 წლის წინათ. და ამ ყველაფერში ხელს გვიწყობს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი, რომელმაც უმალ დაიჭირა „რუსთავი-2“-ის პოზიცია. როგორც ჩანს, მას აწყობს გონებადახშული ქართული პოლიტიკური სპექტრი, ჩამორჩენილი, დადამბლავებული საზოგადოება, რომლის ასეთად ქცევაში სწორედ „რუსთავი-2“-მა შეიტანა დიდი წვლილი.

გარეთ რომ 21-ე საუკუნის მეორე დეკადაა, მაშინ ვიგრძენი, როდესაც თვალი მოვაშორე მეტიჩრულად მოჭახჭახე ქართულ ელექტრონულ მედიას, ერთობ პროვინციულს, უზომოდ გაუნათლებელს, უმეცარს, მაგრამ ბრიყვულად ამბიციურს და შევხედე სხვას, არა აქაურს, იქაურს, საითკენაც თითქოს მივდივართ და იქაურს, საითკენაც არ მივდივართ.

ყველა მათგანი სხვაგვარად ლაპარაკობს, სხვაგვარად აზროვნებს, რაც იმის ნიშანია, რომ სხვაგვარად ფიქრობს. იქაური, საითკენაც არ მივდივართ, „ვალდაის“ სადისკუსიო კლუბის ყოველწლიურ, მორიგ კონფერენციას წარმოგვიდგენდა მსოფლიოს ყოფილი თუ ამჟამინდელი კორიფეებით, გუშინდელი პრეზიდენტებით, პრემიერებით და მინისტრებით და დღევანდელი ანალოგიური თანამდებობების მატარებლებით — მეცნიერებით, ნამდვილი ექსპერტებით.

თითოეული მათგანის გამოსვლა იყო გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი დღის ღრმა ანალიზით სავსე, დიდი სიბრძნე და განსწავლულობა, რაც ესოდენ შორსაა (სამწუხაროდ) დღევანდელი საქართველოდან — გაუკუღმართებული, მამლაყინწური, გაუნათლებელი პოლიტიკისგან და, მისი წყალობით, ქვეყნისგან.

გარეთ 21-ე საუკუნის მეორე დეკადაა, ჩვენ კი ისევ რაღაც „რუსთავი-2“-სთვის ვასკდებით ერთმანეთს და ამ ყოჩურ ჯახში აღარც ქვეყანა გვახსოვს და აღარც საკუთარი თავი.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲫᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ.

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲔᲚᲩᲘ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲣᲙᲔᲗ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, იან კელის განცხადებით, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით სასამართლო პროცესს ძალიან დიდი ყურადღებით აკვირდებიან. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს სასტუმრო „ჰოლიდეინში“ განუცხადა, სადაც ელჩი თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციას ესწრებოდა.

„აქაც არაერთხელ გაიმეორეს, რომ მედიაპლურალიზმი, ასევე ყველა პოლიტიკური პარტიის და პოლიტიკური პროცესების ყველა მონაწილის შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებოდეთ მედიაზე და შეეძლოს თავისი მოსაზრებების გამოხატვა, აბსოლუტურად მნიშვნელოვანი ელემენტია დემოკრატიის განვითარებისთვის. ამიტომაცაა, რომ მთელ ამ პროცესს ასეთი შეშფოთებით ვადევნებთ თვალს“, — განაცხადა იან კელიმ.

ᲙᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲓᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, „რუსთავი-2“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე კამერები იმიტომ გაკეთდა, რომ იქ რაიმე პროვოკაციას ადგილი არ ჰქონდეს. ამის შესახებ დიმიტრი ქუმსიშვილმა იმ შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით გამოძიება დაიწყო და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდეოკამერები დამონტაჟდა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, შეკითხვის პირველ ნაწილთან დაკავშირებით ის ვერაფერს იტყვის.

„მე მგონია, რომ მეორე ნაწილი, რაც თქვენ ბრძანეთ, ეს გაკეთდა ზუსტად იმიტომ, რომ იქ შემთხვევით რაიმე პროვოკაციას ადგილი არ ჰქონდეს და ამაში დარწმუნებული ვარ. პირველ ნაწილზე ვერაფერს გეტყვით. მე პროკურორი არ ვარ“, — განაცხადა ქუმსიშვილმა. კითხვაზე, ვისგან შეიძლება იყოს მოსალოდნელი პროვოკაცია, მინისტრმა აღნიშნა, რომ „იქ შეიძლება ბევრმა არასასურველმა პირმა ისარგებლოს, როდესაც პროვოკაციის მოწყობა უნდა“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

◎ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲓᲒᲐ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ

ᲜᲘᲙᲝ ᲛᲐᲠᲘ - 150

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲑᲘᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ (ᲜᲘᲙᲝ) ᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. Ნ. ᲛᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲮᲝᲠᲪᲔᲣᲚᲐᲓᲐᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. ᲘᲡ ᲓᲐᲝᲑᲐᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲝᲗᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲛᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲡᲐ ᲛᲐᲚᲣᲚᲐᲠᲘᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ. 1884 Წ. ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ �გᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ. �პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠ�გᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ (1890 Წ.) ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲥᲕᲔ ᲒᲐᲜᲐ�გᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ �პᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ. 1913 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲘ, 1920-30 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ — ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, 1930 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ (1934 Წ.) — ᲡᲡᲠᲙ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.

ნ. მარს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული და სომხური ფილოლოგიის განვითარებაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში. გამოაქვეყნა „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“, „ჭანურის გრამატიკა“, „ძველი ქართული სალიტერატურო ენა“, „ქართული ენა“ (ფრანგულად, მ. ბრიერთან ერთად), რიგი საყურადღებო წერილებისა სვანური და აფხაზური ენების შესახებ. მოგვცა მრავალი ანგარიშგასაწევი ეტიმოლოგია ქართველურ ენათა მასალაზე. ნ. მარის ინიციატივით შეიქმნა სამეცნიერო სერიები: „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, 1900-1913; „Материалы по яфетическому языкознанию“, „Яфетический сборник“, 1922-1932; „Язык и мышление“, 1933-1949; „Христианский Восток“, „Bibliotheca Armeno-Georgica“, „Monumenta hagiographica Georgica“ და სხვ.

ნ. მარმა დიდი ამაგი დასდო ქართული სასულიერო და საერო მწერლობის შესწავლას ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევებით. მან ძველი ხელნაწერების მიხედვით, სათანადო მეცნიერული კომენტარებით, ლექსიკონითა და რუსული თარგმანითურთ გამოსცა ძველი ქართული მწერლობის პირველხარისხოვანი ძეგლები, მათ შორის, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ქართული სახოტბო ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები - „აბდულმესია“ და „თამარიანი“.

ნ. მარმა საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას, განსაკუთრებული ღვაწლი დასდო „ვეფხიტყაოსნის“ ტექსტის, რუსთაველის იდეოლოგიისა და მისი ეპოქის შესწავლას, გამოსცა პოემის პროლოგისა და ეპილოგის ტექსტები სათანადო გამოკვლევითა და რუსული თარგმანითურთ;

თვალსაჩინოა ნ. მარის წვლილი საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში. აღსანიშნავია, რომ ფეოდალური ხანის ცალკეული აქტუალური პრობლემების (ტაო-კლარჯეთის ისტორიის საკითხების, ანისში აღმოჩენილი ეტიფანე ქართლის კათალიკოსის წარწერის და სხვ.) გაშუქების გარდა, ნ. მარს ეკუთვნის განმაზოგადებელი მონოგრაფია „საქართველოს ისტორია“ (სანკტ-პეტერბურგი, 1906) რუსულ ენაზე, სადაც გადმოცემულია ქართველი ხალხის ისტორია ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულიდან, საქართველო-კავკასიის უძველესი ხანის ისტორია, ეთნოგენეზის პრობლემა, მთლიანობაშია გააზრებული; მანვე ვრცლად განიხილა ძველი ქართული კულტურის ისტორიის საკითხები (წარმართული პანთეონი, დამწერლობის წარმოშობა, ქრისტიანობის გავრცელება, ქართული ეკლესიის დაფუძნება და სხვ.);

ნ. მარის მეცნიერულ მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს არქეოლოგიასაც. მის მიერ ჩატარებულ გათხრებს ანისში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეების სომხური ქალაქებისა და კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. აღსანიშნავია, რომ მან ანისის გათხრების დროს მიაკვლია წმ. ნინოსა და თამარ მეფის ფრესკებს. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გათხრები ვანის ტბის (თურქეთი) სამხრეთ სანაპიროზე. აქ ნ. მარმა გაშიფრა ურარტუს მეფის სარდურ II-ის (760-730) ლურსმული წარწერა, სადაც მოხსენიებული იყო კულხას (კოლხის) ქვეყანა.

სწორედ ნ. მარის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობას მიეძღვნა ა.წ. 23 ოქტომბერს მეცნიერებათა აკადემიაში გამართული სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა მოხსენებები: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკად. რ. მეტრეველის — „ნიკო მარი და საქართველოს ისტორია“, აკად. გ. კვარაცხელიას — „ნიკო მარი და ქართველური ენათმეცნიერება“, აკად. თ. გამყრელიძის — „ნიკო მარი და ენის ოთხელემენტოვანი ანალიზის ფსიქოლოგიური საფუძვლები“, აკად.რ. გორდეზიანის — „ნიკო მარის მოძღვრების ზოგიერთი ასპექტის აქტუალობა“, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ლორთქიფანიძის — „ნიკო მარი — არქეოლოგი“, აკად. ე. ხინთიბიძის — „ნიკო მარი და ქართული ლიტერატურა“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მთავრობის რწმუნებული (გუბერნატორი) გურიის მხარეში გ. სალუქვაძე, შემოქმედელი მიტროპოლიტი მეუფე იოსები, ნ. მარის შთამომავალი გ. მარი. კონფერენციამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა დიდი მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის მრავალმხრივი შემოქმედებითი მემკვიდრეობის კოლოსალური მნიშვნელობა საერთოდ ჰუმანიტარული მეცნიერებისა და, განსაკუთრებით, ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგის — ენათმეცნიერების, ფილოლოგიის, ისტორიის, კულტუროლოგიის განვითარებაში.

* * *

Ა. Წ. 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გაიმართა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებების გაერთიანებული გაფართოებული სხდომა, სადაც განხილულ იქნა გრაკლიანის გორაზე (კასპის მუნიციპალიტეტი) მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგები. მოხსენებით წარსდგა გრაკლიანის გორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. ვ. ლიჩელი, რომელმაც სხდომის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგების, მათ შორის, საკულტო ტაძრის საკურთხევლის პოსტამენტზე აღმოჩენილი უცნობი წარწერის შესახებ. მომხსენებელი წარწერას, თანმხლები არტეფაქტების მიხედვით, ძვ. წ. VII საუკუნით ათარიღებს, თუმცა, მისივე აზრით, საბოლოო პასუხი რადიოკარბონული ანალიზის შედეგად განისაზღვრება და შესაძლოა, ის უფრო ძველიც აღმოჩნდეს. მართალია, წარწერის წაკითხვა მომავლის საქმედ რჩება, მაგრამ ამ ეტაპზე, მკვლევარის დასკვნით, აშკარად იკვეთება ის გარემოება, რომ წარწერა წარმოადგენს არალურსმული დამწერლობით შესრულებულ ტექსტს, ერთადერთს იმ ეპოქისათვის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ის შესრულებულია ადგილზე მცხოვრები ადამიანების მიერ და ემსახურებოდა 2700 წლის წინათ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოებას. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგის, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა.

Გ. ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2015 წლის 17 დეკემბერს 14:00 საათზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ნონეშვილის ქ. №13) გაიმართება **გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლითი გზის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის** საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილი სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ გვერდზე www.georoad.ge და შემდეგ მისამართებზე:

- ქ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ნონეშვილის ქ. №13;
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენობაში — ქ. თბილისი, ყაზბეგის ქ. №12

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

რევაზ ენუქიძე ტელ: 599 16 44 69; ; E-mail: r.enukidze@gmail.com
მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk
გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09 E-mail: gia.sopadze@georoad.ge

INFORMATION ABOUT PUBLIC CONSULTATION

Roads Department of Georgia makes this announcement to the attention of stakeholders that public consultation on **Environmental and Social Impact Assessment of Reconstruction of Gurjaani-Bakurtsikhe By-pass Road Kakheti Regional Roads Improvement Project and Third Secondary and Local Roads Project** is planned to be held at the Gurjaani Municipality (Address: Noneshvili str. №13) 17 December, 2015 at 14:00.

Electronic version of the documents is available at the web page of Roads Department: www.georoad.ge the hard copy of above mentioned document will be available at below mentioned addresses:

- Gurjaani Municipality - Noneshvili str. №13;
- Roads Department of Georgia – Tbilisi, Kazbegi str. №12

Please send your comments and remarks below mentioned Contact persons:

Revaz Enukidze Tel: 599 16 44 69; E-mail: r.enukidze@gmail.com
Maya Vashakidze. Tel: 593323077; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk
Gia Sopadze Tel: 599 93 92 09; E-mail: gia.sopadze@georoad.ge

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲘᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ ᲬᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ IX-XII ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲡ 2015-2016 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ ᲘᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ONLINE.NAEC.GE

ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ �გᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ. ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ �გᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲞᲠᲘᲖᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲒᲐᲜ“, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ 20 �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ.

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. „ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ“ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ. 2015 ᲬᲔᲚᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1277 ᲡᲙᲝᲚᲘᲡ 22 ᲐᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ.

20 �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ Headington Oxford-ᲘᲡᲐ ᲓᲐ „Oxford College“-ᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ. ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲛ“ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ �გᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘ 21 ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲪ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ. ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ, ᲠᲣᲡᲣᲚ, ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

ანი მიროტაძე:

საკაშვილი კოჭლი და მახინჯი ხელისუფლების ბელადი იყო...

დღევანდელობის მთავარ პრობლემებზე გვესაუბრება პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ანი მიროტაძე.

— სამოქალაქო სექტორი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო შეშფოთებას გამოთქვამს და ესკალაციის საფრთხეს ხედავს. როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, მსგავსი შთაბეჭდილება თქვენც გრჩებათ?

— არასამთავრობო სექტორი ვალდებულია, თუკი რაიმე პრობლემა არსებობს, ამ საკითხზე მაქსიმალურად მაღალ ხმაზე ისაუბროს, რაც ჩვეულებრივი პროცესია. ის, რომ სამოქალაქო სექტორი ამას ნაციონალური მოძრაობის დროს არ აკეთებდა, ამის თაობაზე არ ვილაპარაკებ. კარგი იქნებოდა, თუკი მათი ხმა მაღალ ტონალობაში წინა ხელისუფლების დროსაც გაისმებოდა. ამ შემთხვევაში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხითაც ნაკლები პროლემები იქნებოდა და იმ რაოდენობის წამების ფაქტები არ იარსებებდა, რომელსაც ამჟამად, ეტაპობრივად ვეცნობით. არასამთავრობო სექტორი ხმამაღლა უნდა საუბრობდეს, რაც ჩემთვის მისაღებია, მაგრამ იმასაც გეტყვით, ხელისუფლება რას უნდა აკეთებდეს. ხელისუფლება არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა უსმენდეს და იმას აფასებდეს, ქვეყანაში არსებობს თუ არა რაიმე საშიშროება და საფრთხე. ავადსახსენებელი კადრების გავრცელების შემდეგ, ადამიანები ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ ზედმეტ ემოციებს გამოხატავენ, რაც, ჩემი აზრით, არ შეიძლება, რადგან ძალადობას ძალადობას ვერ დაუპირისპირებ, თუმცა, მოქალაქეებსაც უფლება აქვთ, რომ ასეთ მძიმე ფაქტებზე საკუთარი აღშფოთება გამოხატონ.

— თქვენ ამბობთ, რომ მოქალაქეებს საკუთარი განწყობის გამოხატვის უფლება აქვთ, მაგრამ იმ ფაქტს რითი ახსნით, რომ ნაციონალების ოფისებს თავს, სავარაუდოდ, ხელისუფლების მიერ მართული ადამიანები ესხმიან?

— ხელისუფლება ვალდებულია, რომ ქვეყანაში უსაფრთხოება და წესრიგი უზრუნველყოს, რათა რაიმე ქაოსი და სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობები არ შეიქმნას. თუკი ვინმეს ამის ვალდებულება აქვს, პირველ რიგში, ეს ხელისუფლებას ეხება, ისევე როგორც თითოეულ მოქალაქეს. ის ადამიანები კანონის წინაშე უნდა წარსდგნენ, რომლებიც სამოქალაქო დაპირისპირებას ხელს შეუწყობენ. ქვეყანაში შერჩევითი სამართალი არ უნდა იყოს, რაც აღრე არსებობდა. თავის დროზე ვთქვით, რომ ასეთი სახელმწიფო არ გვჭირდებოდა, რადგან მსგავსი ქვეყანა არის — კოჭლი და მახინჯი. მიხეილ სააკაშვილი კოჭლი და მახინჯი ხელისუფლების ბელადი იყო და არ მსურს, რომ ასეთი ხელისუფლების წარმომადგენელი ვიყო. რაც შეეხება იმ საკითხს, ნაციონალური მოძრაობის ოფისების დარბევაში მონაწილეობენ თუ არა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ეს გასარკვევია. XXI საუკუნეში ყველა საშუალება არსებობს იმისთვის, რომ ვიზუალური მტკიცებულებები დაიდოს, რომელიც ამ ფაქტს დაადასტურებს. თუკი მსგავსი რამის დაფიქსირება მოხდება, კანონმდებლობაში ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ნორმები არსებობს, რომელიც გამოყენებული იქნება. ეს ნორმები იმის მიუხედავად უნდა იყოს გამოყენებული, ასეთი მახინჯი კადრების გავრცელების შემდეგ, როგორია ადამიანების ემოცია.

— თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლებამ ქვეყანაში წესრიგი და უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს, თუმცა, საპირისპირო განცხადება ხომ არ გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც ნაციონალების მისამართით თქვა, რომ მათ „მადლობა უნდა მოიხადონ იმისთვის, რაც ეკუთვნოდათ და ხალხისგან არ მიიღეს“. არ ფიქრობთ, რომ მთავრობის მეთაურის ეს განცხადება აგრესიულ ადამიანებს წაახალისებს?

— პრემიერის კომენტარზე პრეზიდენტმა აბსოლუტურად გაუაზრებელი განცხადება გააკეთა. თქვენს კითხვაზე პასუხს ჩემი მაგალითით გავცემ. მედიაში მიმდინარე პროცესებს განსაკუთრებით ვაკვირდები და მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ჩემი შეფასება მანამდე არ დავაფიქსირო, სანამ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. „რუსთავი-2“-ის თაობაზე არცერთი განცხადება არ გავაკეთე და მონაწილეობა არც დებატებში არ მიმიღია, რათა ჩემი განცხადება მოსამართლეზე ზეწოლად არ ჩაითვალოს. ეს ყველაფერი იმისთვის გავაკეთე, რომ ყველას საშუალება ჰქონდეს, კანონის ფარგლებში იმუშაოს. ქვეყანაში ყველაზე მაღალი ლეგიტიმაცია კანონს გააჩნია. პრემიერმა საკითხზე საკუთარი აზრი დააფიქსირა. მართალი გითხრათ, მეც ასე ვფიქრობ.

— თქვენ რას ფიქრობთ?

— მეც ვფიქრობ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ საკუთარ ხალხს რაც გაუბედა, მაღალი ხარისხის სისასტიკე იყო და ასე ფაშისტური რეჟიმი იქცეოდა. მსოფლიოში არცერთი ქვეყანა არ მეგულება, სადაც ხელისუფლება ასე შეიძლება მოქცეულიყო. ადამიანების აგრესიის მესმის და ნაციონალური მოძრაობა წარსულია, მაგრამ ეს ხალხი მომავალშიც მოგვყვება და ქვეყნის აშენებაში აგრესია არ გამოგვადგება. ნაციონალური მოძრაობა დამნაშავეა, რადგან მან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ამხანაგად აგრესია არ გამოგვადგება. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ძალადობა ძალადობას წარმოშობს. ნაციონალური მოძრაობა ჩემთვის წარსულია და წარსულთან ბრძოლა არ შეიძლება.

— თქვენ ამბობთ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ კაცობრიობის წინაშე დანაშაული ჩაიდინა და ის დანაშაულებრივი რეჟიმი იყო. თუკი რეჟიმი იყო, რატომ არ დასაჯეთ? 2012 წლის არჩევნებზე ხალხმა ხმა იმისთვისაც მოგცათ, რომ ნაციონალებს საკუთარ შეცდომებზე თუ დანაშაულებზე პასუხი ეგოთ...

— ამ კადრების მიმართ ერი გაღიზიანებას ისევ რომ გამოხატავს, ჩემს წილ დანაშაულს მეც ვგრძნობ, მაგრამ ჩემს ხელში არანაირი ბერკეტი არ ყოფილა იმის, რომ ნაციონალები სათანადოდ არ დავსაჯეთ. ამ შემზარავი კადრების გამო 11 ადამიანი დასჯილია და ლინჩის წესით ვერავის გაასამართლებდნენ. მართალი გითხრათ, ეს ადამიანები შემსრულებლები იყვნენ და დამკვეთები დასჯილები არ არიან. გეთანხმებით, რომ დამკვეთების დასჯა უნდა მომხდარიყო. სამართალდამცავების მიმართ კითხვები მეც მაქვს.

— წამების ამსახველი კადრების გავრცელება ვის ინტერესებში შედის?

— ჩემს ინტერესებში არ შედის, ისევე როგორც ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლის. არ მინდა, რომ ეს ბინძური კადრები პოლიტიკაში იარაღად ან ბერკეტად იქნეს გამოყენებული. ვინც იმას ფიქრობს, რომ ეს ბერკეტი უნდა იყოს, მას პრობლემა აზროვნებაში აქვს და ის ადამიანად ვერ გამოდგება. ნაციონალურ მოძრაობას ქვეყნის შენების პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ შეუძლებელია, ასეთი მახინჯი გონების ადამიანმა დემოკრატიული საზოგადოება ააშენოს. თუკი მსგავსი კადრების გავრცელება ჩვენი ხელისუფლების ინტერესებში შევა, იგივე შეფასება მექნება. რასაკვირველია, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ასეთ ადამიანებზე არ ავიღებ. არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ასეთი ადამიანები ჩემი პოლიტიკური გუნდის წევრები იყვნენ. ეჭვს არსებობის უფლება აქვს იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, კადრების გავრცელება ხელისუფლების ინტერესებში შედიოდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ კადრებს ერთმანეთის დაშანტაჟებისთვის და ქაოსის შესაქმნელად ის ადამიანები ავრცელებენ, ვისაც ასლები ჰქონდა.

— თქვენ გჯერათ, რომ კადრების გავრცელება NDI-ს კვლევებს შემთხვევით დაემთხვა?

— ამ კვლევებში რა წერია? — იქ წერია, რომ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი 13 პროცენტი იყო და არის, ხოლო „ქართული ოცნების“ რეიტინგმა დაიწია, მაგრამ გამოკითხულთა 60 პროცენტს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება არ სურს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი მოლოდინის რეჟიმშია გადასული. ჩვენი ამომრჩევლის ერთი პროცენტით კი, ნაციონალების მხარეს არ წასულა და მათ რა უხარიათ, არ მესმის. არ ვფიქრობ, რომ სამომავლოდ, ისინი 13 პროცენტს შეინარჩუნებენ. ყველაზე ზუსტი სოციოლოგიური კვლევა არჩევნებია, რომელიც ყველაზე გამჭვირვალეა. ვფიქრობ, რომ ამ კადრების გავრცელება ნორმალურად მოაზროვნე ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. ხელისუფლებამ განაწყენებული ადამიანები უკან რომ დააბრუნოს, მან ქვეყანაში უფრო მეტი ინვესტიცია უნდა მოიზიდოს, ეკონომიკური ვითარება გამოასწოროს, ლარის კურსი გაამყაროს და საზოგადოებას პერსპექტივა დაანახოს. კადრების გავრცელება სამი წლის წინათ მოხდა და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური განაჩენით დადგა, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარება.

— თქვენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას, „ნორმალურად მოაზროვნე“ ხელისუფლება ახსენეთ. ფიქრობთ, რომ ქვეყანას „ნორმალურად მოაზროვნე“ ხელისუფლება მართავს?

— ყოველ შემთხვევაში, ახალი ხელისუფლების აზროვნება წინამორბედისგან ძალიან განსხვავებულია, რაც იმის ვარაუდის საშუალებას მაძლევს, რომ ის წინა ხელისუფლების მსგავს შეცდომებს არ ჩაიდენს. თუკი გვარამიას მხრიდან რაიმე სახის მტკიცებულება იქნება წარდგენილი, საერთოდ არაფერი გამაჩერებს.

— არ გაჩერდებით და რას იზამთ?

— ამ საკითხზე პასუხს მოვითხოვ. ასევე მოსამართლე ურთმელიძეს გადაწყვეტილებას ველოდები, რომლის განაჩენსაც გავეცნობი. ერთ-ერთი პირველი ვიქნები, ვინც სასამართლოდან ამ საქმეს გამოითხოვს და მტკიცებულებებს გავეცნობი. ჟურნალისტი ვარ და თავისუფალი სიტყვის ფასი ზუსტად ვიცი. ესა თუ ის ტელევიზია არის თუ არა პოლიტიკურად ანგაჟირებული, ამას ვერავინ გამომაპარებს, მაგრამ ქვეყანაში ყველა ტიპის მედიასაშუალება უნდა არსებობდეს.

— რა შთაბეჭდილება გრჩებათ, „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ ადგილი აქვს თავისუფალი სიტყვის შეზღუდვას, თუ დავას ტელეკომპანიის მეპატრონეებს შორის?

— სასამართლოს გადაწყვეტილებას ველოდები და როგორც დეპუტატი შეფასების გაკეთებისგან თავს ვიკავებ, რათა ჩემი განცხადება ვინმემ სასამართლოს საქმიანობაში ჩარევად არ აღიქვას. იმედია, ამ საშინელი ქაოსის მიუხედავად, ურთმელიძე ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

— თუკი „რუსთავი-2“-ის უკან ხელისუფლების ინტერესები არ არის, არ ჯობდა, რომ ურთმელიძეს საქმეზე აცილება მიეცა?

— შესაძლოა, საქმეზე აცილება უფრო ადვილი ყოფილიყო. მან აცილება რომ არ გააკეთა, მას კანონი არც ამით დაურღვევია და არც იმით დაარღვევდა, რომ საქმე აეცილებინა. მოსამართლის გადაწყვეტილების რევიზიას შეგნებულად არ ვაკეთებ.

ესაუბრებოდა
ნინო ხვადაგიანი

◎ ალიან-ჩალიანი

მაგ ზარალს „რუსთავიორელებო“ კონცერტების ხარჯებიც მიუმატეთ

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისა და მისი მფლობელების მხრიდან ზიანის ანაზღაურების შუამდგომლობა მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

მოსამართლემ მოპასუხე მხარეს წილების დაყადაღების შემდეგ მოსალოდნელი ზიანის ამსახველი კალკულაციის წარმოდგენა 30 ოქტომბრისთვის მოითხოვა. ამავე დღეს დაიფიქსირებენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატები საკუთარ პოზიციას ზიანის ანაზღაურების შესახებ შუამდგომლობის თაობაზე. ამის შემდეგ კი, მოსამართლე განჩინებას გამოაცხადებს.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა და მისი მფლობელებმა, ძმებმა ყარამანიშვილებმა სასამართლოს ტელეკომპანიისა და მისი პარტნიორების წილების დაყადაღებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართეს. შუამდგომლობა ერთ ნაწილში, სადაც მოპასუხე მხარე კონკრეტულად 700 ათას და 400 ათასი დოლარის ანაზღაურებას ითხოვდა, არ დაკმაყოფილდა, თუმცა მოსამართლე ზარალის კალკულაციას და გადაწყვეტილების ამის შემდეგ გამოტანას დათანხმდა. ყადაღით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ქიბარ ხალვაშისგან „რუსთავი-2“-ის ადვოკატები იმ შემთხვევაში ითხოვენ, თუკი დავა მათ სასარგებლოდ დასრულდება.

„დაისაჯოს ქათმიონალური მოძრაობა!!!“

ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე არსებულ ნაციონალური მოძრაობის ოფისის კედლებზე შეურაცხმყოფელი შინაარსის პლაკატები გააკრეს. პლაკატებზე ნახევრად შიშველ მდგომარეობაში გამოსახული არიან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ნიკა გვარამია, გივი თარგამაძე და ბაჩო ახალაია. პლაკატს წარწერებიც აქვს — „დაისაჯოს ქათმიონალური მოძრაობა“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ბრიფინგი გამართა ნაციონალური მოძრაობის წევრმა რაულ თავართქილაძემ.

მისი განცხადებით, პარტიის ოფისებზე თავდასხმები „ქართული ოცნების“ მიერ არის წახალისებული.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთი უარს ამბობს, გადაუხადოს საქართველოს 70 მილიონი ევრო

მოსკოვს განზრახული აქვს, სადავოდ გახადოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება

მოსკოვი უარს აცხადებს, გადაუხადოს თბილისს 70 მილიონი ევროს კომპენსაცია საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაციის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც 2014 წელს საქართველომ მოუგო რუსეთს სტრასბურგში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოზე.

ამის შესახებ განაცხადა რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გიორგი მატიუშკინმა კონფერენცია – „ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის ეფექტიანი იმპლემენტაციის ეროვნული მექანიზმების სრულყოფის“ კულუარებში, რომელიც 22-23 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობდა.

„სამოცდაათი მილიონი ევრო, რომელიც გაჟღერდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ეს არის, თუ არაიურიდიულ ენაზე ვილაპარაკებთ, საქართველოს მთავრობის „სურვილები“. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში წარვადგინეთ მემორანდუმი, რომელშიც ჩამოვაყალიბეთ ჩვენი მიდგომები“, – თქვა მატიუშკინმა.

მატიუშკინი ამტკიცებს, რომ საქართველოს მხარე ზრდის რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ ადამიანთა რიცხვს, ასახელებს სხვადასხვა ციფრებს – „ათასობით და ათასობით კაცს“. სინამდვილეში, მისი სიტყვებით, საკითხი შეეხება 154 პირს“, რომლებიც, როგორც მატიუშკინი ამბობს, რუსეთში იმყოფებოდნენ არალეგალურად.

„ვინ იყვნენ ისინი, სად განიცადეს მათ დევნა და რაში გამოიხატა მათი კონვენციური უფლებების დარღვევა, როგორ გამოიყენეს მათ სასამართლო დაცვის ეფექტიანი საშუალებები, რომლებიც არის რუსეთის ფედერაციაში – აი, ამის შესახებ დავწერეთ ჩვენ ჩვენს მემორანდუმში“, – აცნობა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

შეგახსენებთ, რომ **რუსეთმა დაიწყო ქართველების დეპორტაცია 2006 წელს, საქართველოს სამართალდაცვის ორგანოების მიერ ჯაშუშობაში ბრალდებით 4 რუსი ოფიცრის დაპატიმრების შემდეგ, სახელმწიფოთაშორისი სარჩელი საქართველომ შეიტანა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში 2007 წლის 26 მარტს. 2014 წლის 3 ივლისს სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა დაარღვია საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ევროპული კონვენციის მთელი რიგი მუხლები, მათ შორის მუხლი 3 – წამებათა აღკვეთა, მუხლი 5 – უფლება თავისუფლებასა და პირად ხელშეუხებლობაზე, მუხლი 8 – უფლება კერძო და ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე, მუხლი 13 – უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებზე და მუხლი – 14 – დისკრიმინაციის აკრძალვა.**

ბუნებრივია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 2014 წელს ვალდებულება დააკისრა რუსეთის ფედერაციას, გადაუხადოს საქართველოს მატერიალური კომპენსაცია, მაგრამ მისი ოდენობა უნდა დაედგინათ თავად მხარეებს 12 თვის განმავლობაში პირდაპირი მოლაპარაკების გზით. ერთი წლის შემდეგ, 3 ივლისს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ, ვინაიდან რუსეთის იუსტიციის სამინისტრო არ თანამშრომლობდა ქართულ მხარესთან ამ საკითხზე, „ემყარებოდა სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტურ გადაწყვეტილებებს ანალოგიურ საქმეებზე“, თბილისმა განსაზღვრა კომპენსაციის თანხა 70,3 მილიონი ევროს ოდენობით და თავისი წინადადება გაუგზავნა სტრასბურგში სასამართლოს.

1959 წელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შექმნის დღიდან სასამართლოში შეიტანეს მთლიანად 16 სახელმწიფოთაშორისი სარჩელი. 2014 წლამდე გადაწყვეტილებები მიღებული იქნა მხოლოდ სამ საქმეზე: ირლანდია დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (1978 წელს), დანია თურქეთის წინააღმდეგ (2000 წელს) და კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (2001 წელს).

თბილისის რეაქცია

ოფიციალურ თბილისს მიაჩნია, რომ, მიუხედავად უკმაყოფილებისა, რუსეთს მაინც, საბოლოო ჯამში, მოუწევს გადაუხადოს საქართველოს კომპენსაცია.

როგორც თავის კომენტარებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ განაცხადა, მოსკოვს 9 ოქტომბრამდე უნდა წარედგინა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში თავისი მოსაზრებანი თბილისის მიერ კომპენსაციის თანხის დასახელებასთან დაკავშირებით და, როგორც ჩანს, მიაჩნია ბარამიძეს, მოსკოვმა ეს არ გააკეთა. თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებანი „რევიზიას არ ექვემდებარებიან“, და რომ, მიუხედავად მოსკოვის სურვილის უქონლობისა, მას მაინც მოუწევს შეასრულოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მითითება.

ექსპერტის აზრი

ექსპერტი საერთაშორისო უფლებათა დარგში, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე ასევე დარწმუნებულია, რომ **რუსეთს მოუწევს 2006 წელს დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეებს გადაუხადოს კომპენსაცია.**

თუმცა, აღნიშნავს ექსპერტი, ეს, როგორც ჩანს მალე არ მოხდება, ვინაიდან, მისი სიტყვებით, უკვე ცხადია, რომ რუსეთს „განზრახული აქვს გააჭიანუროს დრო“. მიუხედავად ამისა, ამბობს ალექსიძე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს აქვს იმ ქვეყნებზე ზემოქმედების ბერკეტები, რომლებიც უარს აცხადებენ დაემორჩილონ ამ სასამართლოს ვერდიქტებს. პრეცედენტის მაგალითად ექსპერტმა შეგვახსენა „ამერიკის ხმისათვის“ მიცემული ინტერვიუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 1998 წლის 27 ივლისის დადგენილების შესახებ ლოიზიდის საქმესთან დაკავშირებით თურქეთის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება იყო კვიპროსის მოქალაქის ტიტინა ლოიზიდის სასარგებლოდ, გვიამბობს ლევან ალექსიძე, თურქეთი „დაჟინებით“ ამბობდა უარს გადაეხადა მას ფულადი კომპენსაცია იმისათვის, რომ 1974 წლიდან კვიპროსის ბერძნულ და თურქულ მხარეებად გაყოფის გამო ამ ქალბატონს ჩამოართვეს შესაძლებლობა – მიეღწია თავის საკუთრებამდე თურქეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. შედეგად ევროპის საბჭომ დასვა საკითხი თურქეთის წევრობის შეჩერების შესახებ ამ ორგანიზაციაში და ანკარას მოუწია დაეწყო 2003 წლიდან გადაეხადა ტიტინა ლოიზისათვის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დადგენილი თანხა, რაც ამერიკის ერთ მილიონ დოლარზე მეტს შეადგენდა.

„ბუნებრივია, რომ არავინ ელოდა, თუ რუსეთი უმალვე დათანხმდებოდა გადაეხადა საქართველოსთვის კომპენსაცია. ამას დრო დასჭირდება, მაგრამ ამასთან ერთად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დადგენილებათა შესრულება თავად ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრესტიჟის საქმეა, ასე რომ, რუსეთს, ბოლოს და ბოლოს, აიძულებენ გადაიხადოს ეს თანხა“, – მიაჩნია ლევან ალექსიძეს.

დედამიწის ზურგზე

2000 ცხვარმა გაიარა მადრიდის ქუჩებში – „ისინი იცავდნენ თავიანთ უფლებებს„

ესპანელმა მწყემსებმა 2000 ცხვარი გადარეკა მადრიდის ცენტრალურ ქუჩებში, ისინი აღადგენდნენ ფარების გადარეკვის ძველ დღესასწაულს, რომელიც დაახლოებით 7 საუკუნეს ითვლის. უკანასკნელ წლებში ეს ჩვეულება გადაიზარდა აქციაში ურბანიზაციის წინააღმდეგ პროტესტის სახით, რაც ტრადიციულ მეცხოველეობას ემუქრებოდა.

ფლორიდაში „პროფილაქტიკური“ ნადირობა ორი დღე-ღამის განმავლობაში 300 დათვის დახოცვაში გადაიზარდა

ფლორიდის შტატში დათვებზე ნადირობის სეზონის გახსნის ხარჯზე აპირებდნენ შეემცირებინათ, ხელისუფლების აზრით, ამ მტაცებელი ცხოველების უკიდურესად გაზრდილი პოპულაცია, მაგრამ ტემპმა, რომლითაც ხელი მოჰკიდეს მონადირეებმა საქმეს, გააოცა არა მხოლოდ ეკოლოგები, არამედ თავად ჩინოვნიკებიც. თუმცა, ეს უკანასკნელები მომხდარში პრობლემებს ვერ ხედავენ.

კომიკოსი ჯიმი მორალესი გვატემალის პრეზიდენტი გახდა

გვატემალაში პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური დამთავრდა ყოფილი კომედიული მსახიობის ჯიმი მორალესის დამაჯერებელი გამარჯვებით. მან ხმების დაახლოებით 70 პროცენტი მოაგროვა, და ასეთმა მაჩვენებელმა აიძულა მისი მეტოქე ქალბატონი სანდრა ტორესი ჯერ კიდევ ბიულეტენების დამუშავებამდე უარი ეთქვა პრეტენზიაზე სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე.

არგენტინის პრეზიდენტს მეორე ტურში აირჩევენ. პირველში ლიდერობს კანდიდატი ოპოზიციიდან

კანდიდატი ოპოზიციური კონსერვატიული პარტიიდან „რესპუბლიკური წინადადება“ მაურიო მაკრი, წინასწარი მონაცემებით, იმარჯვებს არგენტინაში პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში. მაგრამ ხმების ოდენობა, რომლებიც მას მისცეს, საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ ქვეყანაში 22 ნოემბერს გაიმართება კენჭისყრის მეორე ტური.

კანადის სანაპიროს მახლობლად ჩაიძირა ხომალდი, რომლის ბორტზეც 27 კაცი იყო

მაშველთა სიტყვებით, ზოგიერთმა მგზავრმა შეძლო გადარჩენა, თუმცა არიან დაღუპულებიც. ადგილზე, სადაც ხომალდი ჩაიძირა, მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები. ზუსტი მონაცემები მსხვერპლის ოდენობის შესახებ ჯერჯერობით დასახელებული არაა. ასევე გაურკვეველია ტრაგედიის მიზეზებიც.

ᲥᲝᲪᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ

ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲜᲐᲪᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲜᲐᲪᲨᲝᲜᲓᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲪᲚᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲐᲜ�გᲠᲘᲔᲡ ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲘ, „ᲛᲐᲛᲐ ᲡᲝᲠᲝᲡᲘᲡ“ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ „ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡ“ — ᲘᲔᲚᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ!

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲔᲠ �გᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲝ:

გარეგნულად სააკაშვილსა და ჩვენს უწმინდეს პატრიარქს შორის თბილი ურთიერთობის ფონზე, სააკაშვილის სატრაპების არაერთგზისი შეჭრები საკურთხეველში;

პატრიარქის ეპისტოლეების პრევენციული რევიზიები, რათა იქიდან ან საერთოდ გამქრალიყო ნაცბანდის ნეოლიბერალური იდეოლოგიისთვის მიუღებელი პასაჟები ან მათი „კორექტირებული“ ვარიანტები დარჩენილიყო;

სინოდის კრებაზე ზეწოლები, როდესაც იქ შეგზავნილი თუ გადაბირებული აგენტების მეშვეობით, მიუხედავად საზოგადოების მასობრივი პროტესტისა, სინოდს ისეთი კანონი მიაღებინეს (ზუსტად აღარ მახსოვს რა ერქვა), რომელსაც უწმინდესმა საქართველოს დამღუპველი კანონი უწოდა;

2009 წლის 26 მაისს, ჩვენი „ფარჩაკი“ ოპოზიციის მიერ ერთი სტადიონი ხალხის პატრიარქთან მირეკვა, როდესაც საკურთხეველში ბლოკირებულ პატრიარქს, როგორც ამბობენ, გიგი უგულავა მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებდაო;

ისე ამ ყველაფერს ყოველგვარი „ამბობენს“ გარეშე, რომ სწორედ გიგი უგულავა და მისი სატრაპი, დღეს საქართველოდან გაქცეული სოსო თოფურიძე ხელმძღვანელობდნენ, მგონი, ყველამ იცის...

არც ის არის საიდუმლო, რომ ე.წ. გამოხატვის თავისუფლების დროშა ბუდარიხა თეა თუთბერიძემ ააფრიალა მართლმადიდებელი ეკლესიის და პირადად მისი უწმინდესობის შეურაცხყოფის მიზნით და როდესაც ეს სიბინძურე თავისუფლების ინსტიტუტში გამოჩეკილ თეა თუთბერიძეს ხახვივით შერჩა, მისი დროშის ქვეშ სხვა ბუდარა-ბუდარიხებიც დაირაზმნენ ნინია კაკაბაძის, ირაკლი ვაჭარაძის, ბექა მინდიაშვილის და სხვა ხლისტების სახით, რომლებმაც არაერთხელ მიაყენეს ბინძური შეურაცხყოფა საქართველოს სულიერ მამას და ჩვენს დედაეკლესიას!

ბუდარიხა თუთბერიძემ ისიც კი გაბედა, რომ სოციალურ ქსელში საიტი დადო სახელწოდებით — მე მიყვარს ჩემი გეი პატრიარქი!

ამის მომთმენ და ჩამყლაპავ ქართველებს ხალხი და მითუმეტეს ერი გვქვია?

და ყველაზე მთავარი — NDI ამასწინანდელი კვლევების მიხედვით გამოცხადებული დასავლეთისთვის საგანგაშო შედეგი:

გამოკითხული ხალხის 31%-ს ევრაზიულ კავშირში რეალური შესვლა (წაიკითხე რუსეთთან სტრატეგიული მოკავშირეობა) ურჩევნია ეფემერულ ნატოსა თუ ევროკავშირის კარზე მრავალწლიან ამაოდ კაკუნს, რამაც სოხუმ-ცხინვალი, კოდორი, ახალგორი სამუდამოდ თუ არა, დიდი, ძალიან დიდი ხნით დაგვაკარგვინა!

ეს შედეგი ე.წ. დასავლეთის ფლიდი პოლიტიკის შედეგია საქართველოსთან მიმართებაში, როდესაც ნატოს ერთიდან მეორე სამიტამდე წლების განმავლობაში უნამუსოდ გვატყუებენ — აი, დღეს ვერა, მაგრამ ხვალ, როდინობის კვირის შვიდშაბათს მიგიღებთო?!

აქედან გამომდინარე, ანტიამერიკული განწყობების აშკარა მატება (რაც სავარაუდოდ იგივე NDI მიერ დადებულ 31%-ზე გაცილებით მეტია) საქართველოს დედაეკლესიის „ბრალიც“ არის, რადგან ჩვენი ტვინგაყინული თუ სულგაყიდული პოლიტიკოსების მიერ ნატოზე შეთხზული ზღაპრების საპირისპიროდ, მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი პატრიარქი ქადაგებენ სიმართლეს, გნებავთ, ე.წ. რეალპოლიტიკას:

საქართველოს ფიზიკური და, რაც უმთავრესი მგონია, მენტალურ-ზნეობრივი გადარჩენის ერთადერთ გზას ერთმორწმუნე რუსეთის ეკლესიასთან ევქარისტულ ძმობაში და რუსეთის სახელმწიფოსთან სტრატეგიულ მოკავშირეობაში ხედავს ჩვენი ბრძენი პატრიარქი და მისი მრავალრიცხოვანი მრევლი, ანუ საქართველოს მოსახლეობის (და არა მხოლოდ მართლმადიდებლების) დიდი უმრავლესობა.

გავიხსენოთ ჩვენი პატრიარქის ქმედებები, როდესაც მისმა ავტორიტეტმა რუსეთის გენერალიტეტთანაც კი გაჭრა და ხრწნადაწყებული, სააკაშვილის ხუშტურებს ზვარაკად შეწირული ბიჭების გვამების გადმოსვენება შეძლო შიდა ქართლიდან.

იგივე 2008 წლის შემოდგომაზე, როდესაც რუსების ტანკები ჯერ კიდევ პერევში იდგნენ, მისი უწმინდესობა რუსეთის პატრიარქის დაკრძალვაზე მიდის, სადაც პუტინ-მედვედევთან ერთი შეხვედრით პერევიდან რუსის ჯარი გაიყვანინა, რომელიც სააკაშვილის ენაჭარტალობის გამო უკანვე შემობრუნდა;

მისი ვიზიტი რუსეთის ნათლობის 1000 წლის იუბილეზე მოსკოვ-კიევ-მინსკში, საიდანაც საინტერესო გზავნილები ჩამოიტანა რუსეთის პრეზიდენტისგან — საუბარი ყველა თემაზე (წაიკითხე სოხუმ-ცხინვალი) შეიძლება რუს-ქართველთა შორისო და ა.შ. ზემოთ თქმულის დასტურად კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება...

რა მიიღო და რას ღებულობს ჩვენი პატრიარქი და ზოგადად ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყანაზე ზრუნვის სანაცვლოდ?

მხოლოდ ზემოთ ხსენებულ შეურაცხყოფებს პატრიარქი და ზოგიერთი უზნეო სასულიერო პირის (რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, დიდი ალბათობით შესაბამისი ძალების მიერ შეგზავნილ-გადაბირებულები არიან) „მხილებით“ ზოგადად ქართული ეკლესიის დისკრედიტაცია!

ამიტომ მოხვდა სახდეპის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველო, რომელიც აშშ სახელმწიფო მდივანმა, მისტერ ჯონ ქერიმ გაახმოვანა. იმ ათასი სისულელიდან, რომლებიც ჩვენ გვეხება, მხოლოდ ერთს მოვიყვან“:

„ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲔᲑᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲘᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲡᲐᲛᲪᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲯᲐᲫᲕᲡ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲝᲖᲣᲠ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲢᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲒᲘᲕᲘᲗᲔᲑᲐᲨᲘ“

აი, ასე, როგორც იტყვიან, უაპელაციო სიბრიყვე, ან რაც უფრო სავარაუდოა, მიზანმიმართული ტყუილი:

რომელ კანონზე და პრივილეგიებზეა ლაპარაკი, როდესაც ეს კონსტიტუციური ნორმით, ე.წ. კონკორდატით არის გარანტირებული?

ეგეც რომ არ იყოს, ღვთისმშობლის წილხვედრ, ქრისტეს კვართის მფლობელ საქართველოში რატომ არ უნდა იყოს მართლმადიდებლობა (რამაც გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა საქართველო) პრივილეგირებული?

რაც შეეხება ამას წინათ აჭარაში მომხდარ ინციდენტს, როდესაც მუსლიმთა მედრესეზე ღორის თავი მიაჭედეს, რაც სახდეპის ანგარიშშია შესული, როგორც რელიგიურ უმცირესობათა მიმართ მტრული დამოკიდებულების მაგალითი, ეს სამარცხვინო ფაქტი გარკვეული ძალების მიერ ინსპირირებული პროვოკაცია რომ იყო ცხადია, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინაც კი, როდესაც საქართველოს, სურვილის შემთხვევაში, მუსლიმთა გაჟლეტა დაუსჯელად შეეძლო, დავით აღმაშენებელი არა მხოლოდ მუსლიმთა მრავალსაუკუნეობრივი ბატონობისგან განთავისუფლებული თბილისის მეჩეთებს სტუმრობდა, არამედ თბილისის იმ უბანში, სადაც მაჰმადიანები სახლობდნენ, ქართველებს ღორების დაკვლა აუკრძალა!

ჰოდა, ჩვენ ტოლერანტობაზე ლექციებს გვიკითხავს ის მისტერ ქერი, რომელიც მთელს სამყაროს ლგბტ-ზაციით დაემუქრა!

სიტყვამ მოიტანა და მიუხედავად ერთხმად მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონისა, ამ კანონის შინაური აპოლოგეები და მათი ამერიკელი პატრონები ვერაფრით ეღირსნენ 17 მაისს თბილისში გეი-პარადის ჩატარებას და ვერც ეღირსებიან, ვიდრე საქართველოში მართლმადიდებლობაა „პრივილეგირებული“ და ვიდრე თუნდაც ერთი „ტაბურეტკა“ იშოვება. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ჩვენმა მოხუცმა პატრიარქმა სწორედ 17 მაისი დაგვითქვა ოჯახური სიწმინდის (წაიკითხე ლგბტ საწინააღმდეგო) დღედ!..

ახლახან NDI კიდევ ერთი „საინტერესო“ კვლევა დადო, რომლის ძალითაც ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს, ნაცბანდა 13%, ქოცები 11 %, ალასანია და პატრიოტთა ალიანსი 4-4 % და ნათელაშვილი 3% აიღებენ...

საბედნიეროდ, ქართველებმა ამ ავადსახსენებელი NDI კვლევების კითხვა როგორც უნდა ვისწავლეთ და ვიცით, რომ რადგან ევრაზიის მომხრეებად 31 % დაასახელა, ეს ციფრი გაცილებით მეტია!

რაც შეეხება იმას, რომ ნაცები ქოცებს უგებენ, მიუხედავად იმისა, რომ ოცნების რეიტინგი იქნებ მართლაც საგანგაშოდ დაბალია, არა მგონია, ქოცების რეიტინგის კლება ნაცბანდის რეიტინგის მატებას ნიშნავდეს.

NDI ეს ბოლო „ობიექტური“ კვლევა ამერიკელთათვის სასურველის არსებულად წარმოჩენის მცდელობას ჰგავს, რაც რეალობად არაერთხელ უქცევია აშშ-ის უპირობოდ მახარდაჭერილი ნაცების 9-წლიან რეჟიმს...

ერთადერთი „იაღლიში“ NDI-ს 2012-ში ივანიშვილის დროს მოუვიდა, მაგრამ მთლად ისე არ იყო, როგორც მლიქვნელებს სურთ წარმოაჩინონ, თითქოს ბიძინამ მარტომ მოიგო არჩევნები!

წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ ბრიუსელში გასაჯაროვებული ციხის კადრების მნიშვნელობაზე არაერთხელ ითქვა, რასაც იმას დავამატებ, რომ ბიძინა ივანიშვილს სწორედ „პრივილეგირებული“ მართლმადიდებელი ეკლესია დაუდგა გვერდში, პირდაპირ ამბიონებიდან ქადაგებდნენ ნაცბანდის საწინააღმდეგოდ და ღია ტექსტით მოუწოდებდნენ მრევლს, რომ ხმა მიეცათ „ქართული ოცნებისთვის“! გავიხსენოთ ისიც, რომ ივანიშვილის მიტინგებზე, რომლითაც მან მთელი საქართველო შემოიარა, მრავლად შეინიშნებოდნენ ანაფორიანი უმაღლესი თუ დაბალი იერარქიის პირები...

ერთი სიტყვით, ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა საფისტი ნაცბანდის რეჟიმის დამარცხებაში!

დღეს, საგარეჯოში ირმა ინაშვილის არჩევნები ერთგვარი ტესტია — თუ მოახერხეს და რესპუბლიკელებთან დუელში დაამარცხეს ირმა ინაშვილი, მაშინ, 2016-ში დიდი ალბათობით ზემოთ ხსენებულ აბსურდულ პროცენტებსაც დასვამენ!

ამაში მათ ხელს მხოლოდ ეკლესია თუ შეუშლით და ზემოთ ხსენებულ მიზეზთა გარდა, ამ მიზნითაც არის დაწყებული გადამწყვეტი ბრძოლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ!

ამავე საქმეს ემსახურება 8 „დაჩაგრული“ რელიგიური ორგანიზაციის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელიც. სასამართლოში, რომელსაც დღემდე განაგებს ნაცბანდის ერთგული თავმჯდომარე...

თავი და თავი მიზეზი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლისა, მაინც ის არის, რომ **„მამული, ენა, სარწმუნოებიდან“,** რაც ერთარსება სამების სახით ანდერძად დაგვიგდო დიდმა ილიამ, აწ ილია მართლად წოდებულმა, მხოლოდ სარწმუნოება შეგვრჩა, რადგან მამული ჩამომცრობილი (დახედეთ რუკას), ენა წარყვნილი (ჩართეთ რადიოტელევიზია) და ერთადერთი პატრონი და გულშემატკივარი ჩვენი სამშობლოსი, ახალი რუის-ურბნისის მომლოდინე, მაგრამ მაინც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და ჩვენი უწმინდესი პატრიარქია!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲫᲔᲕᲔᲡ

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲘᲓᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲣᲑᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲫᲔᲕᲔᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲑᲘᲑᲘᲡᲘ“ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲘᲓᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲛᲘᲡᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐᲡ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲝᲗᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲔᲡ.

ᲒᲐᲘᲓᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲡᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲨᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲡ. ᲔᲒᲖᲘᲢᲞᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲢᲠᲣᲑᲐᲜᲝᲕᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲑᲝᲠᲝᲕᲘᲙᲘᲐ.

ᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲚᲝᲓᲝᲜ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲤᲝᲗᲘᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ?

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓᲖᲔ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲐᲗ ᲒᲐᲙᲠᲣᲚᲘ. „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲔᲜ.

„ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲡᲐᲚᲔᲑᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲐ. ᲮᲕᲐᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲮᲐᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲚᲝᲓᲝᲗ, ᲐᲚᲑᲐᲗ. ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲗ, ᲣᲜᲘᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐᲗ, �თᲣ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲜ ᲛᲐᲜᲘᲞᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲘᲑᲘᲜᲫᲣᲠᲘᲗ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲥᲕᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲣᲗᲮᲠᲐ ᲛᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲡᲢᲔᲠᲘᲙᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ 2016 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ“ — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ „ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ — ᲤᲝᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲐᲛᲣᲒᲘᲐᲛ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

◎ ჭადრაკი

უდანაკარგოდ დალაშქრული ევროპა

მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ერთ კვირას გრძელდებოდა მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. ქალთა შეჯიბრებაში მედლებისთვის 12 გუნდი იბრძოდა შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად. თავი გამოიჩინა მსგავსი ტურნირების შარშანდელმა გამარჯვებულმა ბათუმის „ნონამ“ (ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, მირანდა მიქაძე, კაპიტანი მარიკა ჯაფარიძე, მწვრთნელი დავით ჯოჯუა, დელეგაციის ხელმძღვანელი გია ჭანტურია), რომელმაც უდანაკარგოდ განვლო შვიდი ტური და ტიტული შეინარჩუნა. ბოლო ორ შეხვედრაში ზღვისპირელებმა ერთნაირი ანგარიშით (3:1) რუსეთის „სანკტ-პეტერბურგსა“ და ბელარუსის „ბოსა ნოვას“ აჯობეს, როგორც შარშან, მოაგროვეს 14 ქულა (საერთო მონაგარი 22 ქულა) და სხვებისთვის მიუწვდომელნი აღმოჩნდნენ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: „გამბიტი“ (მაკედონია) 11 (21,5), „იუგრა“ (რუსეთი) — 10 (18), „ნაშე ნასლედიე“ (რუსეთი) — 9 (18), „ბოსა ნოვა“ (ბელარუსი) — 8 (14), „ჩირკოლო“ (იტალია) — 7 (12.5), „სანკტ-პეტერბურგი“ (რუსეთი) — 6 (13.5), „დე სტუკენაგერსი“ (ჰოლანდია) — 5 (11), „რიშონი“ (ისრაელი) — 5 (10.5), „მიდლენდი“ (ინგლისი) — 4 (10), “ოსლო“ (ნორვეგია) — 4 (8.5), „ჰერცლია“ (ისრაელი) — 1 (8.5) ქულა.

სკოპიედან დაბრუნებულ ევროპის ჩემპიონებს თბილისის აეროპორტში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. გამარჯვებულებს დახვდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **შალვა გოგოლაძე,** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი გიორგაძე,** ვიცეპრეზიდენტი **ზურაბ მიქაძე,** საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ელიზბარ უბილავა,** ფედერაციის თანამშრომლები, ნორჩი მოჭადრაკეები, ახლობლები.

— ქართველმა დიდოსტატმა ქალებმა წარმატებებს შეგვაჩვიეს, ამიტომ მათგან ყოველთვის გამარჯვებას ველით. ასე იყო სკოპიეშიც, სადაც ჩვენმა მოჭადრაკეებმა შვიდივე შეხვედრა მოიგეს და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. — გვითხრა ევროპის ჭადრაკის კავშირის პრეზიდენტმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა,** რომელიც მაკედონიიდან „ნონასთან“ ერთად დაბრუნდა. — სკოპიეში თვალს ვადევნებდი მათს ორთაბრძოლებს და აღფრთოვანებული დავრჩი — „ნონამ“ ზედიზედ მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. ვულოცავ!

გიორგი გიორგაძე: ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო კონტინენტის გუნდური პირველობის წინ, რომელსაც 12 ნოემბრიდან რეიკიავიკი უმასპინძლებს. ჩვენმა მოჭადრაკეებმა სკოპიეში შესანიშნავად ითამაშეს. ახლა საქართველოს ნაკრების წევრები ბორჯომში 11-დღიან შეკრებას გაივლიან და ისლანდიაში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გაემგზავრებიან.

ლაშა დიდია

სურათზე: ევროპის ჩემპიონი „ნონა“ — წინა რიგში: მარცხნიდან — ლელა ჯავახიშვილი, მარიკა ჯაფარიძე, ბელა ხოტენაშვილი; მეორე რიგში: გია ჭანტურია, ნანა ძაგნიძე, მირანდა მიქაძე, დავით ჯოჯუა, ნინო ბაციაშვილი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ხელბურთი

სეზონის პირველი ჯილდო - ზღვისპირელებს

საძართველოს ხელბურთელმა ვაჟებმა ახალი სეზონი გლდანის ჯეიმალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის აკადემიის დარბაზში ქვეყნის 2015 წლის თასის გათამაშებით გახსნეს. შეჯიბრებაში 10 გუნდი ჩაება, რომლებიც წილისყრით ორ ჯგუფში გადანაწილდნენ. წრიული სისტემით გამართული პაექრობების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ქვეყნის უცველმა ჩემპიონმა სტუ-მ, საქართველოს 2014 წლის თასის მფლობელმა „სამტრედიამ“, „ქუთაისმა“ და „ბათუმმა“. განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა სტუ — „სამტრედიის“ მატჩი. სტუდენტებმა პირველი ნახევარი მინიმალური ანგარიშით — 14:13 მოიგეს. მეორე ტაიმში თანაბარი ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა. საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე სტუ 25:20 დაწინაურდა. „სამტრედიამ“ სხვაობა ორ ბურთამდეც შეამცირა — 23:25, თუმცა, საბოლოო გამარჯვებისთვის ძალები არ ეყო, მით უმეტეს, ტრავმით თამაშობდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი წითელიშვილი. გაიმარჯვა სტუ-მ 33:30 და ფინალში გავიდა, სადაც უფრო გამოცდილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ „ბათუმს“ დაუპირისპირდა.ამ უკანასკნელმა გზიდან იოლად ჩამოიშორა „ქუთაისი“ — 40:31.

გადამწყვეტი ორთაბრძოლა გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. შეხვედრა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მატჩის პირველი წუთებიდანვე საფინალო სასტვენამდე ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან — მეორე. ორივე ფინალისტი უფრო მეტ ყურადღებას დაცვას უთმობდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ პირველი ტაიმი „ბათუმმა“ 9:6 მოიგო. მეორე ნახევრის მე-6 წუთისთვის ტაბლოზე ორი ათიანი ენთო. 22-ე წუთზე ზღვისპირელები ორი ბურთით დაწინაურდნენ (16:14), მაგრამ ქვეყნის ჩემპიონმა სამ წუთში ზედიზედ სამი უპასუხო ბურთი გაიტანა და თავად გავიდა წინ - 17:16. ყველას ეგონა, რომ სტუდენტები მატჩში გარდატეხას შეიტანდნენ, მაგრამ საბოლოოდ „ბათუმმა“ 20:19 გაიმარჯვა და საქართველოს თასი დაისაკუთრა.

სტუ — „ბათუმი“ 19:20

სტუ: ტორონჯაძე, მღებრიშვილი, ორჯონიკიძე- 9, არსენაშვილი — 3, სტურუა — 2, ოსიყმაშვილი — 2, ჯორბენაძე — 1, ჭელიძე — 1, ამირანაშვილი — 1, მ. კობახიძე, სამიტაშვილი, მწვრთნელები — კეკელიძე, ორჯონიკიძე.

„ბათუმი“: ანდრიაძე, გოგალაძე — 7, ქარდავა — 4, მაისურაძე — 3, სურმავა — 2, წივწივაძე — 2, გ. კობახიძე — 2, აბრამიშვილი, ყაველაშვილი, ბერძენიშვილი, მწვრთნელები — ჭანტურია, მჟავანაძე, ბზეკალავა.

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი.

დელეგატები: ვახტანგ ბერიაშვილი, თამაზ თევზაძე.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: თასის მფლობელი „ბათუმი“.

ავტორის ფოტო.

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ეროვნული ჩემპიონატი. IX ტური. „სიონი“ — „დილა“ 0:1, „დინამო“ — „ცხინვალი“ 2:1, „სამტრედია“ — „ტორპედო“ 3:1, „შუქურა“ — „ზუგდიდი“ 2:1, „ჩიხურა“ — „კოლხეთი“ 0:1, „გურია“ — „ბათუმი“ 1:1, „საპოვნელა“ — „მერანი“ 2:1, „ლოკომოტივი“ — „საბურთალო“ 3:2.

სატურნირო მდგომარეობა: „დილა“, „დინამო“ — 22-22, „სამტრედია“ — 19, „სიონი“ — 17, „შუქურა“, „ცხინვალი“ — 16-16, „ჩიხურა“ — 14, „ბათუმი“, „საბურთალო“ — 13-13, „კოლხეთი“ — 10, „ტორპედო“, „გურია“ — 9-9, „საპოვნელა“ — 8, „ლოკომოტივი“ — 7, „მერანი“ — 3, „ზუგდიდი“ — 2 ქულა („ზუგდიდსა“ და „სიონს“ მარაგში ერთმანეთთან გამოტოვებული მატჩი აქვთ).

* * *

იტალია. „ფიორენტინა“ — „რომა“ 1:2, „კიევი“ — „ნაპოლი“ 0:1, „პალერმო“ — „ინტერი“ 1:1, „იუვენტუსი“ — „ატალანტა“ 2:0, „მილანი“ — „სასუოლო“ 2:1, „ლაციო“ — „ტორინო“ 3:0.

ესპანეთი. „სელტა“ — „რეალი“ 1:3, „ბარსელონა“ — „ეიბარი“ 3:1, „ატლეტიკო“ — „ვალენსია“ 2:1, „ლას პალმასი“ — „ვილიარეალი“ 0:0, „სევილია“ — „ხეტაფე“ 5:0, „მალაგა“ — „დეპორტივო“ 2:0.

ინგლისი. „მანჩესტერი“ — „სიტი“ 0:0, „არსენალი“ — „ევერტონი“ 2:1, „ლივერპული“ — „საუთჰემპტონი“ 1:1, „ვესტ ჰემი“ — „ჩელსი“ 2:1, „ბორნმუთი“ — „ტოტენჰემი“ 1:5, „ლესტერი“ — „კრისტალ პალასი“ 1:0.

გერმანია. „ბაიერნი“ — „კიოლნი“ 4:0, „ბორუსია“ — „აუგსბურგი“ 5:1, „გლადბახი“ — „შალკე“ 3:1, „ლევერკუზენი“ — „შტუტგარტი“ 4:3, „ინგოლშტადტი“ — „ჰერტა“ 0:1, „მაინცი“ — „ვერდერი“ 1:3.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ — „სენტ ეტიენი“ 4:1, „რეიმსი“ — „მონაკო“ 0:1, „ბორდო“ — „ტრუა“ 1:0, „ლილი“ — „მარსელი“ 1:2, „ლიონი“ — „ტულუზა“ 3:0.

გიორგი შოთაძე

◎ ძიუდო

ოთხ დღეში - ოთხი მედალი

აბუ დაბიში მიმდინარე 21-წლამდელ ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობაზე შეჯიბრების დამთავრებამდე ორი დღით ადრე ქართველმა ფალავნებმა 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ბექა ღვინიაშვილი (90), ვერცხლის ჯილდოები თამაზ კირაკოზაშვილსა (73) და მარიამ ჯანაშვილს (52) ერგოთ, ირაკლი კუპატაძე (55) კი მესამე ადგილს დასჯერდა.

ბექა ღვინიაშვილმა წლეულს დუბლი შეასრულა — სექტემბერში ავსტრიაში ევროპის ჩემპიონი გახდა, რასაც საამიროებში მსოფლიოს ჩემპიონობა მოაყოლა. მან ხუთივე შეხვედრა იპონით მოიგო — ჯერ სამხრეთკორეელ ტაე ჰო კიმის აჯობა, მერე მის გზას გაუყენა ირანელი ჰამედ რაშიდი, პოლონელი რაფალ კოზლოვსკი და გერმანელი დავიდ ტეკიჩი, ხოლო ფინალში ესპანეთის სახელით მოასპარეზე ნიკოლოზ შერაზადიშვილი დაამარცხა. გუშინ ღვინიაშვილს 20 წელი შეუსრულდა და დაბადების დღისთვის მშვენიერი საჩუქარი უძღვნა საკუთარ თავს.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში თამაზ კირაკოზაშვილმა ზედიზედ სძლია რუს ურუსხან ბეკბალაევს, პაკისტანელ ნადეემ აკრამის, თურქ მურატ ბექთაშის, ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ჰუსეინ რაჰიმლის მოუგო, მაგრამ ფინალში ვერაფერს გახდა კორეელ ჰეონ ჩეოლ კანგისთან და მეორე ადგილს დასჯერდა.

შესანიშნავად იჭიდავა მარიამ ჯანაშვილმა. ქართველმა ძიუდოისტმა პირველ წრეში ავსტრალიელ თინა ეშტონს მოუგო, ნახევარფინალში ბრიტანელ ჩელსი გილეს აჯობა, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი კოსოვოელ დისტრია კრასნიჩთან დათმო და მეორე ადგილზე გავიდა. არ არის გამორიცხული, რომ ესთერ სტამთან ერთად რიომდე დარჩენილ მნიშვნელოვან სალიცენზიო ტურნირებზე ჯანაშვილიც ვიხილოთ.

ირაკლი კუპატაძემ ქვეჯგუფი დამაჯერებლად მოიგო — ტუნისელ მოჰამედ ანიმე აიარის და იტალიელ ანდრეა კარლინოს აჯობა, ნახევარფინალში კი ყაზახ მაგზან შამშადისთან წააგო. დამამშვიდებელში ევროპირველობაზე განცდილი მარცხისთვის შური იძია ბელგიელ ვლადისლავ ლიმზე, რამაც ჩვენებურს მესამე ადგილი მოუტანა.

ჩემპიონატი დღეს გუნდური პირველობით დასრულდება.

გივი გაგუა

◎ რაგბი

ტრიუმფის ზღურბლთან

როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისსა და უელსში მიმდინარე მორაგბეთა მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალში 31 ოქტომბერს ერთმანეთს ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ეროვნული ნაკრებები შეხვდებიან, თუმცა, საამისოდ ოკეანეთის წარმომადგენლებს დიდი ბრძოლების გადატანა მოუწიათ.

ეს განსაკუთრებით „ოლ ბლექსზე“ ითქმის, რომლის ბედიც სამხრეთაფრიკელებთან დრამატული შეხვედრის უკანასკნელ წამამდე ბეწვზე ეკიდა — 20:18. გამარჯვებულებმა მოწინააღმდეგის ჩათვლის მიედანზე ორი ლეკლები მხოლოდ საჯარიმოებით მოიპოვა. არადა, იმ შემთხვევაში, თუ აფრიკელთა ლიდერი ბრაიან ჰაბანა ერთხელ მაინც აიღებდა მთავარი ფავორიტის „ქალაქს“, იგი ლეგენდარული ჯონა ლომუს რეკორდს დაამხობდა და მსოფლიოს თასის ისტორიაში ყველაზე შე:დეგიანი მელელოვე გახდებოდა (ორივემ მიზანს 15-15-ჯერ მიაღწია).

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალის შედეგს — 29:15, ერთი შეხედვით „ვოლაბებმა“ შედარებით იოლად სძლიეს არგენტინელებს, თუმცა, ვინც თვიქნემიდან პირდაპირ ტელერეოპრტაჟს უყურა, დაგვეთანხმება, რომ „პუმებმა“ ამჯერადაც ღირსეულად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები.

მოკლედ, კვირას მეზობელთა დიდი ომია!

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ალბათ, გამარჯვებაც მოვა

ვითიბი ლიგის დებიუტანტმა „ვითამ“ ზედიზედ მეხუთე მატჩი ტალინში „კალევთან“ 75:85 წააგო, თუმცა, ესტონურ მარცხს ერთი პლუსი (თუ შეიძლება ასე ეწოდოს) მაინც აქვს — პაველ გოოგეს შეგირდები ტურნირის სტარტზე ასეთი მცირე სხვაობით ჯერ არ დანებებიან მეტოქეს და პირველი გამარჯვებაც კი შეეძლოთ.

რაც შეეხება დამოუკიდებლობაღდგენილი საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის პერსპექტივას, კლუბის მესვეურები სერიოზულად მუშაობენ მის გაძლიერებაზე და თუ ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრის ნიკოლოზ ცქიტიშვილის დამატება მოხერხდა, დაგვეთანხმებით, წარმატებებზე ფიქრი კიდევ უფრო რეალური გახდება.

31 ოქტომბერს ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი ყუბანის „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს.

* * *

სუპერლიგა. II ტური. „რუსთავი“ — „დინამო“ 88:65, „ოლიმპი“ — „სოხუმი“ 53:67, „ქუთაისი“ — „აკადემია“ 96:74, „ბათუმი“ — „მგზავრები“ 79:70.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ნავთობპროდუქტები

სამამულო სანვავის „აულებელი“ ბაზარი

როდის იტყვის კონკურენციის სააგენტო თავის წონად სიტყვას?

ზაფხულის დამდეგიდან მოყოლებული, მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასი, მცირე, რამდენიმედღიანი რყევების მიუხედავად, განუხრელად მცირდება. შესაბამისად, საბითუმო და სამომხმარებლო ბაზრებზე მცირდება ნავთობპროდუქტების ფასიც, თუმცა ეს კლება საქართველოს შიდა ბაზარზე, ფაქტობრივად, არ აისახება. უკეთეს შემთხვევაში გარკვეული სახეობისა და ხარისხის საწვავის ფასს შესაძლოა, ნ თეთრამდე დააკლდეს...

ასე რომ, მსოფლიო ბაზარზე დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ნავთობპროდუქტების ქართველი იმპორტიორები თავისას არ იშლიან და გამუდმებით ერთსა და იმავეს გაიძახიან: შემორჩენილი ნაშთები ძვირად გვაქვს ნაყიდი, ფასსაც იმიტომ ბევრს ვერ ვუკლებთო. საკუთარი უღირსი „მომჭირნეობის“ შენიღბვას კი „საქველმოქმედო“ აქციებით ცდილობენ.

არავის ეგონოს, თითქოს ქველმოქმედების უკეთილშობილეს ინსტიტუტს ამით რაიმე ჩრდილს ვაყენებდეთ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, სამამულო „ნავთობმაგნატების“ უანგარო კეთილი ზრახვებისა ნაკლებად გვჯერა.

ამის თქმის უფლებას ის გარემოება გვაძლევს, რომ ჩვენში ნავთობპროდუქტების სამომხმარებლო ფასები მსოფლიოს ფასების ადეკვატური **არასდროს** ყოფილა. ვიმეორებთ: **არასდროს!** ამ კატეგორიული განცხადების გაკეთების უფლებას ბოლო თვეების მონაცემებიც გვაძლევს.

კერძოდ, **ბოლო თითქმის ხუთი თვის მანძილზე, მსოფლიოს ნავთობის ბაზარზე მისი ფასი თითქმის განახევრდა(!), ჩვენში კი ეს კლება... 3 პროცენტს(?!!) არ აღემატება.** თქმა არ უნდა, ნავთობპროდუქტების ფასებზე ლაპარაკისას, დღესდღეობით აუცილებლად გათვალისწინებელია დოლარის მიმართ ლარის კურსის თითქმის ერთწლიანი ვარდნაც, მაგრამ, რომ იტყვიან, „ტარანა განა თვლით არ არის“? ლარის დევალვაციის გათვალისწინებითაც კი, სამამულო ნავთობიმპორტიორთა მოგების მარჟა უსინდისოდ დიდია. ამის ასე „მწყობრად“ გაკეთება კი, კარტელური გარიგების გარეშე, შეუძლებელია, თუმცა ამ საკითხის გარკვევა უკვე კონკურენციის საგენტოს პრეროგატივაა.

ბუნებრივია, ასეთ შეთანხმებას კატეგორიულად უარყოფს ყველა ნავთობიმპორტიორი, მაგრამ, ეჭვების გაქარწყლება მხოლოდ საპირისპიროს დამადასტურებელი ფაქტების მოყვანით შეიძლება, ასეთები კი მათ, უბრალოდ, არა აქვთ: **ჩვენში ერთი ლიტრი ბენზინი თუ დიზელის საწვავი რამდენიც ღირდა მაშინ, როცა მსოფლიო ბაზარზე ბარელი ნავთობის ფასი დღევანდელზე 3-4-ჯერ მეტი იყო, ზუსტად იმდენივე ღირს დღესაც, 3-5 თეთრის დაკლებით. ესაა და ეს.**

ირანული ნავთობის მსოფლიო ბაზარზე დაბრუნება, როგორც ჩანს, ფასის კლების ტენდენციაზე, საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, რამდენადმე საგრძნობ ზეგავლენას ვერ მოახდენს. არადა, ამავე დროს, მათი უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ნავთობზე ფასების ახლანდელი ვარდნა ერაყში მისი მოპოვების მნიშვნელოვანი ზრდითაა განპირობებული.** ამ ქვეყანაში დღე-ღამის მანძილზე ნავთობის მოპოვებამ 4 მილიონი ბარელით მოიმატა, რაც ძალიან ბევრია, რადგან ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი წილი სწორედ მას ეკუთვნის. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი შედეგები ყველა ქვეყანაში ბოლომდე დაძლეული არ არის, ამდენად, ნავთობსა და, შესაბამისად, ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა შემცირებულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნავთობიმპორტიორი ქვეყნების უმძლავრესმა გაერთიანება „ოპეკამ“, ერთ ხანს თითქოს სცადა ნავთობის ფასების ვარდნის პროცესის შეჩერება, რისთვისაც მისი მოპოვების კვოტები უნდა შემცირებულიყო, თუმცა ბოლოს ისინი მაინც უცვლელად დატოვეს.

რა პერსპექტივა აქვს ამის გათვალისწინებით ჩვენში ნავთობპროდუტებზე ფასების კლებას? სიმართლე გითხრათ, ამ მხრივ რაიმე დამაიმედებლის თქმის საფუძველს ვერ ვხედავთ. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ **ნავთობპრდუქტების სამამულო ბაზარზე დომინირებული მოთამაშე სულ რამდენიმე კომპანიაა, რომელთა წარმომადგენლების განცხადებით, ახლო მომავალში ისინი ფასების დაკლებას არ აპირებენ.** მათთან შედარებით საგრძნობლად (დაახლოებით 20-25 თეთრით) იაფია მცირე, არაბრენდირებული ნავთობიმპორტიორი კომპანიების ბენზინი და დიზელის საწვავი, მაგრამ მათი საერთო წილი ბაზარზე დიდი არ არის, ამდენად, ეს სხვაობა, მთლიანობაში, არსებითად, ბევრ შეღავათს ვერ იძლევა.

როგორც ჩანს, თავისი სიტყვა კონკურენციის სააგენტომ უნდა თქვას და, ალბათ, იტყვის კიდეც, ოღონდ ეგაა, როდის? და იქნება კი იგი ისეთი, რომელიც ნავთობპროდუქტების შიდა ბაზარზე მდგომარეობას საგრძნობლად შეცვლის?

ვნახოთ.

ოთარ ტურაბელიძე

რეკლამა **მაჩაბლის ქ. №7.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ **293-37-87**

სანთელი

ნელი დოლიძე

გამორჩეული თავისი ასაკის ქალბატონებში — „ჩვენი ლამაზი ნელი“, ასე ეძახდნენ მეგობრები და ახლობლები. დაიბადა 1942 წელს, ინჟინერ-ტექნოლოგი მუშაობდა სამტრესტში, შემდგომ ტექნიკურ უნივერსიტეტში კვებ. ტექ. კათედრაზე, ტექნიკის სახლის ინფორმატიკის განყოფილებაში და რძის კომბინატში (დიდუბეში). მის პიროვნებაში არაჩვეულებრივად სიცოცხლითა და მომხიბვლელობით კონცენტრირებული იყო ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელი იყო ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტისათვის. შესანიშნავი დედა და თავგადადებული ბებია, რასაც ამშვენებდა განუმეორებელი ქალური კდემამოსილება, ადამიანისათვის სიკეთის გაკეთება, მეგობრობისათვის თავდადება. მოულოდნელი ტრავმა საბედისწერო აღმოჩნდა და ასე ადრე წავიდა სულეთში, ნათელში იყოს მისი ხსოვნა.

მეგობრები

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უსამძიმრებს ბატონ მალხაზ დოლიძეს, გაზეთის ძველ მეგობარსა და ავტორს, დის

ნელი დოლიძის

გარდაცვალების გამო.

მამუკა, ინგა, ავთანდილ და ბექარ ვაშაკიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას და სამძიმარს უცხადებენ გია კასრაძისა და მაია ვაშაკიძის ოჯახსა და ახლობლებს.

ძნელია სიტყვებით გადმოვცეთ ის მწუხარება და გულისტკივილი, რასაც განვიცდით ჩვენი კოლეგისა და მეგობრის, პროფესორ ვაჟა დიდმანიძის შვილიშვილის

ზვიად ყარალაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

სიცოცხლით სავსე ახალგაზრდის გარდაცვალებამ დაამწუხრა უამრავი ადამიანი.

ვიზიარებთ უსაზღვრო ტკივილს და ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს და მეგობრებს.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის დამსახურებულ ექიმ მეან-გინეკოლოგს, მედიცინის დოქტორს მაგული ბაქრაძეს გარდაეცვალა მეუღლე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე

ნოდარ შიოს ძე ძოწენიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გრიგოლ შონია, ნუნუ სხირტლაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიძის, შესანიშნავი პიროვნების

რომან იოსავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 X, 17 სთ. ნუცუბიძის I პლატო, მე-17 კორპუსი. გამოსვენება 29 X, 14 სთ. მაცხოვრის ამაღლების ტაძარი (საბურთალოს სასაფლაო).

◎ თანადგომა

„ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი, ბულბულს დავსვამ ჭიქაზე“...

არიან ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანას ლეგენდად შემორჩებიან. მათი კაცობა, ოჯახიშვილობა, ნიჭი, ერთგულება, ტრადიციების დაცვა, ცხოვრების წესი — თაობიდან-თაობას გადაეცემა. ასეთ კაცებზე იტყვიან — მათ მხრებზე დგას საქართველოო. ასეთები ღვთის წყალობით ბევრი გვყავდა, მაგრამ იყვნენ ერთეულები, რომლებიც საოცრად ჰგავდნენ თავიანთ სამშობლოს ცხოვრების წესითა და ზნეკეთილობით. იყო პედაგოგი, თაობათა აღმზრდელი, ცოცხალი ენციკლოპედია და ამ დროს პედაგოგი კაცურ-კაცობისა, ღმერთი ქართული სუფრისა, მომფერებელი ტრადიციისა — ასეთად ახსოვთ თანამედროვეებს სიმონ სხირტლაძე. ასეთად ახსოვთ არა მარტო მათ, ვისაც ბედმა გაუღიმა და მას იცნობდა, არამედ მათაც, ვისაც მომავალი თაობა ჰქვია და მხოლოდ უფროსი მეგობრებისგან თუ ვიცით გადმოცემით. ცოდნა ერთია და გათავისება მეორე. ეს მეორეა ყველაზე ძნელი, რამეთუ კაცთა შორის უნდა გაიზარდო, მათთან უნდა იტრიალო, მათი ცხოვრებით უნდა იცხოვრო და მათი უნდა გწამდეს.

ამ წერილის სათაურად მოტანილი სტროფი **გიორგი შატბერაშვილის** შესანიშნავი ლექსიდანაა, რომელიც ხალხურადაა თითქმის ქცეული და რომელიც მან თავის მეგობარს სიმონ სხირტლაძეს მიუძღვნა. სიმონ სხირტლაძეს იცნობდა დიდი და პატარა, მის მეგობრობას ესწრაფვოდა ბევრი. **„შეიძლება დიდი კაცის სუფრის დამშვენებაზე უარი ეთქვა, მაგრამ უბრალო მზარეულსა და მეპურეს არაფრით გააწბილებდაო“,** — იხსენებს ლევან ფრუიძე. იხსენებენ **მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, ოთარ ჭელიძე, მიხეილ კეკელიძე, გრიგოლ აბაშიძე, კუკური გოგიაშვილი, მურმან თავდიშვილი, ლერი ალიმონაკი და სხვანი და სხვანი,** მისი მეგობრები თუ მოსწავლეები, მისი დოსტები და მისი უბადლო ნიჭის თაყვანისმცემლები. ბევრი მათგანის ხსოვნა ისტორიამ შემოგვინახა, ბევრი დღესაც ცოცხალია, მაგრამ მთავარი ერთია, ცნობილმა რედაქტორ-გამომცემელმა ძირძველი თბილისელებისა და სრულიად საქართველოს მამულიშვილთა გამხსენებელმა, გაზეთ **„თანადგომის“** რედაქტორმა **ანზორ ბაბუხადიამ, ალექსანდრე შენგელიას** თანარედაქტორობითა და **იაგო გოგრიჭიანის** თანადგომით თავისი გაზეთის ახალი ნომერი ამ ლეგენდა-კაცს მიუძღვნა და შეძლებისდაგვარად მთელი ეს მცირე მოგონებები ერთად შეკრიბა. შეკრიბა თბილი სიტყვები კაცზე, რომელიც **„დილით ბავშვებს ასწავლიდა ჭკუას, საღამოს კი — უფროსებს“,** ვინც ზრდიდა თაობებს, ვისაც შეეძლო ვარდის ტოტზე შეჩვეული ბულბული ჭიქაზე შემოესვა და მადლიანი ენით სიბრძნე დაეფრქვია მსმენელთათვის. **ასეთი კაცის სახლმუზეუმი უნდა არსებობდეს საქართველოში, სადაც მომავალ თაობას შეეძლება მისვლა და პატივმიგება საქართველოს კოლორიტის ხსოვნისადმი, ამაზე ქალაქის თავკაცებმა უნდა იზრუნონო, ბრძანებს ბატონი ანზორი.**

მამუკა ვაშაკიძე

◎ სულიერება

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული

საძართველოს მართლმადიდებელმა წმინდა სამოციქულო ეკლესიამ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენება იდღესასწაულა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას წელიწადში რამდენჯერმე აღნიშნავენ.

ბიზანტიის იმპერიაში იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში გამოიცა ბრძანება, რისი მიხედვითაც ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ მათ.

შეაღწიეს ნიკეის მახლობლად მცხოვრები ერთი კეთილმორწუნე ქვრივის სახლში... მათ იქ იპოვეს გადამალული ხატი და ერთმა მხედარმა ხატს მახვილი „დასცა“.

სასწაული მოხდა მაშინათვე, ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ.

ღვთისმშობლის ხატის წინაშე ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა. როცა გათენდა, მან, ღვთის განგებით, ხატი ზღვასთან მიაბრძანა, ილოცა და წყალში ჩაუშვა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი წყლის ზედაპირზე დაბრძანდა და დასავლეთისკენ გაემართა.

საგულისხმოა, რომ ერთხელ, მიმწუხრისას, ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე შენიშნეს ნათელი სვეტი. აღმოჩნდა, რომ ნათელი ადგა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს, მაგრამ, როცა ვინმე მიუახლოვდებოდა, ხატი შორდებოდა ნაპირს.

ერთადერთმა გაბრიელ ბერმა შეძლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ზღვიდან ამობრძანება!

ივერიის ღვთისმშობლის ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

ამბობენ, ივერიის ხატის შესამკობად, თურმე პატრიარქი ნიკონი პირად ქონებას არ იშურებდა. ხატის პერანგი მთლიანად მოვარაყებული ოქროსია, მასზედ კი ალმასები, იაგუნდები და მარგალიტებია დაბნეული.

* * *

26 ოქტომბერსვე იყო ხსენება ქართული ეკლესიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ანტონ ჭყონდიდელისა. ის იყო ჭყონდიდელ მწიგნობართ-უხუცესი თამარის მეფობის დროს. ანტონი საკმაოდ დახელოვნებული ჰიმნოგრაფიც ყოფილა. მას მონაწილეობა მიუღია შემქორის ბრძოლაში.

გიული ლიპარტია

◎ ჯადოსნური სამყარო

ქართული ზღაპრები რუსულენოვანი ბავშვებისთვის

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“... ყველა პატარამ კარგად იცის თუ როგორ იწყება ქართული ხალხური ზღაპრები. არც ბექნუ ბიჭისა და თეკლა გოგოს თავგადასავალი იქნებოდა უიმისოდ. ჰო, და, სწორედ ასე იწყება ცნობილი გამომცემლისა და შესანიშნავი ზღაპართმთხზველის ბონდო მაცაბერიძის ზღაპრების წიგნიც.

ბექნუ ბიჭი უამრავი იარაღითაა შეჭურვილი, მართალია, მისი ხმალი, მშვილდი, შუბი, თოფი და პისტოლეტი, ის კი არადა მისი რაშიც, ხისაა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გულადი და მამაცია. სიკეთის ჩადენა სწყურია და ბოროტებას ებრძვის, სწორედ ამიტომაც აქვს გადაწყვეტილი დრაკონებთან და ცხრათავიან დევებთან შებრძოლება.

დანარჩენი... დანარჩენი ქართველმა პატარებმა ზეპირად იციან. ყველას თუ არა უმეტესობას, ვისაც წიგნის კითხვა ურჩევნია კომპიუტერთან თამაშსა და უცხოურ სათავგადასავლო ომებში ჩაბმას, დედიკოები და დიდედები უკითხავენ ბექნუ ბიჭისა და თეკლა გოგოს უცნაურ თავგადასავლებს.

ახლა კი რუსულენოვან პატარებსაც აქვთ საშუალება თავიანთი ქართველი თანატოლებივით შეიყვარონ ამ ლამაზი ზღაპრების გმირები. ახლახან სანკტ-პეტერბურგის გამომცემლობა „დეტგიზმა“ (საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა) გამოსცა ბონდო მაცაბერიძის ზღაპრების კრებული **„ზღაპრები ბექნუ ბიჭსა და თეკლა გოგოზე“**, რომელიც რუსულად თარგმნა **მიხაილ იასნოვმა.** წიგნი დასურათებულია მხატვარ **რუსუდან ყიფიანის** ილუსტრაციებით. მაგარი ყდითა და ფერადი ილუსტრაციებით გაფორმებული, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ზღაპრები 2 ათასი ტირაჟით გამოიცა და განკუთვნილია დაბალი კლასის მოსწავლეებისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბონდო მაცაბერიძის ზღაპრები არც უფროსი ასაკის მოზარდებსაც დატოვებს გულგრილს.

ავთანდილ ბექაური

◎ ინფორმაცია

მალე ბორჯომს განახლებული სანაპირო სკვერი ექნება

ბორჯომში, სანაპირო სკვერის გამწვანების სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება, — ამის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტში განაცხადეს

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებთან ანზორ სვანიძესთან და რევაზ კალაძესთან ერთად, სანაპირო სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

ანზორ სვანიძის განმარტებით, ამ დროისათვის სკვერში მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს ტერიტორიის დასუფთავება, ასევე სკამებისა და სანაგვე ურნების განლაგება.

აღსანიშნავია, რომ დასასრულს უახლოვდება დენდროლოგიური პროექტის განხორციელებაც, რომელიც სკვერში ბორჯომის კლიმატური პირობებისათვის შესაფერისი დეკორატიული მცენარეების დარგვას ითვალისწინებს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაირგო ღვიის, ტუიების, მარადმწვანე კოწახურის, ბზის, სხვადასხვა სახეობის ვარდის, ტირიფისა და 15 -მდე სახეობის მცენარის ნერგი.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია მცენარეების დამატებითი რაოდენობის ნერგის შემოტანა. უთხოვარი, ბზა და ცაცხვის ნერგები სკვერის მთელ მონაკვეთზე გადანაწილდება.

ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

რედაქცია მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მისმინე, შენი ცოლი შენზე ამბობს, შტერიაო!**

— **მართალიც არის, რაკი მასზე დავქორწინდი.**

* * *

როდესაც ორი პატარა ერი ერთმანეთთან დაობს, საქმეში გაერო ჩაერთვება ხოლმე და დავა ქრება. როცა პატარა ერი დიდს ედავება, საქმეში გაერო ერთვება და პატარა ერი ქრება. როდესაც ორი დიდი სახელმწიფო ერთმანეთთან არკვევს ურთიერთობას, გაერო ქრება.

* * *

— **მე თქვენ სამი კილოგრამი ქლიავი შეგიკვეთეთ, — ეუბნება სარა მაღაზიის გამყიდველს, — და ფულიც გადაგიხადეთ. მერე ჩემი უმცროსი ვაჟი გამოგიგზავნეთ მის წასაღებად. როცა მან ჩემი შენაძენი მომიტანა, ავწონე და ორი კილოგრამიღა გამოვიდა.**

— **ერთი თქვენი ვაჟიც აწონეთ!**

* * *

მთვრალი ხარ მაშინ, როდესაც თავს ზედახვეწილად მიიჩნევ, მაგრამ ამის თქმა არ ძალგიძს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე